№ 208 კვირა, 20 სექტემბერი 1909 წ. № 208

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ღამის საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დახაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. რედაქცია მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელახლა არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გ. მოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭВА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ სექტემბრიდან წლის ბოლომდე 3 მ. 70 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

**ექიმი** ქ. ქუთაისში. მ. დ. ბეთანოვი

აფთიაქის, N 24, და კლუბის ქ., N 2, კუთხეში. იღებს სიფილისით, ვენერიულ, კანის და შინაგანის სენით ავადმყოფებს ყოველ დღე 25 აგვისტოდან დილით 9—11 ს. საღამოთი 5—8 ს. (25—ავ.—22)

**ექიმი** კბილისა ს. ვაშაყმაძე

აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავადმყოფებს იღებს ახალ ბინაზე დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, ს. N 15. (25—ნ.—11)

**ექიმი** კ. ს. ფონ ირტელი

არჩენს სპეც. თირკმ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის მეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—3)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** გ. მაგაკიანი.

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—30)

**ექიმი** ი. ნ. ეგიაზაროვის

ელექტრო-თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6 7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—11)

**ექიმი** ლ. ნ. ოჭანჯანოვი

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—17)

**ექიმი** ჩარექოვი ქ. ქუთაისში. სპეციალისტი.

იღებს განსაკუთრებით სიფილისით, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. დილით 12—2 ს., საღამოთი 5—6 ს. გეგუთის ქუჩა, აბულაძის მესახვევი იოსელიანის სახლში. (25—ფ.—13)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—ავ.—66)

**ექიმი** მიუნხენის უნივერსიტეტისა იორდანე მ. გოცაძე

დაბა ყვირილაში

მიიღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს 8—1 ს. გედევან ჩუბინიძის ნომრებში. ნახადილევს ივლის სახლში ავადმყოფებთან. (25—417—22)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხოჯმხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—69)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 162.

**ექიმი** მ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გორჩაკ., N 9. (უ)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—10)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—0)

ახლად გახსნილი ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფელდთროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

გ. დ. ლომბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ბ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვე. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

გ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—160)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

მ. ალაჯანოვი—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

ნ. ათენიანცი—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

გ. ვნუკოვი—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

ი. ეგიაზაროვი—ნერ. და შინ. 11—12 ს.

მ. კიმონტი—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

მ. მაგაკიანი—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ლ. მონინა—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

ა. კალმიკოვა-ვნუკოვა— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ოთახებისაგან. (100—ზალ.—10)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1½—3 ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოცევსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

ჩუდნოვსკი.—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—ბავშ. ყ.-დღე. 1—2 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3.

ნავიცკი—ბებ. ქალ., ყოველ დღე 1—2

ახვლედიანი— შინაგ. ყოველდღე 11-12

კალამქაროვი—ბებ., ქალ. ყ.-დღე 4-5

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსენარის შრატით. (100—ნ.—94)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოტ რ ნის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—252

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ნაფიცი ვექილი

## სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე

ქუთაისიდან გადავიდა ტფილისში (ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11, სასტუმრო „ლონდონის" ახლოს). (25—ნ.—12)

## საგურთალოზე

ახალ ეკკლესიის მახლობლად, იყიდება ახლად ნაკრებად დაჭრილი მამული საგაზაფხულო; მშვენიერი მდებარეობა, ჰაერი, საქართველოს სამხედრო გზა და მტკვარი ზედ გვერდზედ. პირობისთვის შეგიძლიანთ მიმართოთ ოლღას ქუჩაზე სახლი № 6, ეზოში მეორე სართული. (3—459—1)

გამოვიდა და იყიდება

## „ქება-ქებათა" სოლომონისი,

კიტა აბაშიძის წინასიტყვაობით და შენიშვნებით და

## „სულამიტ",

ა. შანშიაშვილისა. გამოცემა კ. აბაშიძისა. წიგნი იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში, ფასი ორი შაური. (10—7)

## შკალიერი ძმ. ტარნოპოლების

ფაბრიკის

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

განყოფილება ტფილის.: გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრის საარტისტო საზოგადოებისა.

ფასები საფაბრიკოა.

ტელეფონი N 355.

ნიმუშები უფასოდ. (25—ნ. 10)

კვირას, 20 ენკენისთვეს, საღამოს 8 საათზე, სამეურნეო ბანკში დანიშნულია

ჩვეულებრივი საზოგადო კრება

## საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა

კრებაზე წაიკითხავენ რეფერატებს:

1. ბ-ნი მოსე ჯანაშვილი: „სერაპიონ ზარზმელი, ახლად აღმოჩენილი ხელნაწერით".

და 2. დეკანოზი კორნელი კეკელიძე: „ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობის სამეცნიერო მნიშვნელობა",

საზოგადოების წესდების ძალით კრებას შეუძლიანთ დაესწრონ არაწევრებსაც. (2—უ.—2)

იყიდება ყველგან ახალი

## ◀ჩანგი▶

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და საოხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: „ადვოკატთან", „ტაიძი სოვეტნიკის სიზმარი" და „უქუდური დღე". წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35 კაპ.—უყდო 1 მან. ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დათმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ" Гачечиладзе. 30—ნ.—2»)


## ტფილისი, 20 სექტემბერი

სამი კვირა დარჩა მხოლოდ სახელმწიფო სათათბიროს გახსნამდე, მაგრამ არა-თუ პოლიტიკური განცხოველება არსადა სჩანს, უბრალო ინტერესიც-კი მიძინებულია. ყველა უიმედობით არის გამსჭვალული, ყველა ვულგარულად ეგებება უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებისა და სახალხო წარმომადგენლობის მომავალ მუშაობას.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რას გვპირდება სათათბიროს უმრავლესობა მომავალ სესსიაში, უკვე დავრწმუნდით, რომ არცერთი ძირითადი საკითხი რუსეთის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებისა ახლო მომავალში წინ არ იქნება წამოყენებული. ამით საკმაოდ აიხსნება ხსენებული უიმედობა და გულგრილობა. რეაქციამ და გამარჯვებულმა ბიუროკრატიამ კვლავ დაიწყო ის აგონია, რომელსაც მრავალ წლობით განიცდიდა დიდი სახელმწიფო.

ამას წინად კადეტების ლიდერმა, მილიუკოვმა, ლონდონის საზოგადოების წინაშე აღიარა, რუსის ხალხისა და მთავრობის შორის ახლა აღარ არის ხიდი ჩატეხილიო; მაგრამ ეს აღიარება სრულებითაც არ მოწმობს ღრმა რწმენასა და სალს ოპტიმიზმს, არამედ მომასწავებელია წინანდელ გათახსირებულ ოპორტუნიზმის აღორძინებისა. ულიბერალესი ნაწილი რუსის საზოგადოებისა ძველი რეჟიმის დროს იმდენად იყო დაცემული სულით, რომ საკმაო იყო სულ უბრალო შემთხვევა და საზოგადოებას იტაცებდა „უაზრო ოცნება", საკმაო იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სავარძელში ახალი ბიუროკრატი ჩასკუპებულიყო, მაშინვე უნიადაგო იმედები იპყრობდა ეგრედ წოდებულ „საუკეთესო ნაწილს" რუსის საზოგადოებისას. ჩვენ ვერა ვხედავთ, რომ აწინდელი რწმენა მილიუკოვისა განსხვავდებოდეს იმდროინდელ „უაზრო ოცნებისაგან" და გათახსირებულ ოპორტუნიზმისაგან, რადგან იმისი თქმა, ვითომ ეხლა ხიდი არაა ჩატეხილი მთავრობასა და ხალხს შორის, სულ რბილად რომ ვთქვათ, შეუძლებელია. მესამე სახელმწიფო სათათბირომ, პირიქით, აშკარად დაამტკიცა და ცხადჰყო, რომ 17 ოქტომბრის აქტმა წინანდელი უფსკრული ვერ აავსო და განთავისუფლების ჟამი, შეიძლება, კიდევ უფრო დააგვიანა, ვიდრე წინად იყო. და თუ მიუხედავად ამისა, საუკეთესო ელემენტი რუსის ლიბერალურ საზოგადოებისა, როგორიც არის კადეტთა პარტია, ხმამაღლა აღიარებს — ხიდი ჩატეხილი აღარ არისო —ეს სხვას არაფერს მოწმობს იმის გარდა, რომ უღრმეს სასოწარკვეთილებამ და უძლურების შიშმა კვლავ შეიპყრო რუსის ინტელიგენცია.

როგორ შეიძლება ნორმალურ პოლიტიკურ ცხოვრების დაწყებაზე ლაპარაკი იქ, სადაც მთელის სახელმწიფო და საზოგადოებრივის ცხოვრების სათავეში ბიუროკრატიული ოლიგარხია სდგას, რომელმაც თვითმპყრობელობის მონად გადააქცია თვით სახალხო წარმომადგენლობაც. ყოველი ნაბიჯი ამ უკანასკნელის თვით-მპყრობელი ბიუროკრატიისაგან არის წინდაწინვე გამოანგარიშებული და განსაზღვრული. სახალხო წარმომადგენლობას არა-თუ არ ძალუძს მთავარ საჭირ-ბოროტო საკითხების წამოყენება და გადაწყვეტა, წვრიმალ გაუმჯობესების სფერაშიაც უძლურია სავსებით. ავიღოთ თუნდ უახლოესი მაგალითი: წინა სესსიაში სათათბირომ ერთი ლიბერალური კანონი გამოსცა —დამნაშავეთა განთავისუფლება ციხიდან ვადამდე. ვადამდე განთავისუფლება მიღებულია განათლებულ ქვეყნების კანონმდებლობაში და ისეთ დიდ ცვლილებას არ წარმოადგენს, რომ რაიმე პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდეს, მით უმეტეს, რომ რუსეთში იგი არ ეხება პოლიტიკურ დამნაშავეთ. მაგრამ რუსეთის თანამედროვე ბიუროკრატიას ასეთი მცირე ლიბერალური კანონიც-კი შეშურდა და მან ესეც ვერ გამოიმეტა „ერთგულ ქვეშევრდომთათვის". პეტერბურგის საპატიმროებიდან ამას წინად, ამ კანონის ძალით, ვადის დასრულებამდე განთავისუფლეს ასიოდე პატიმარი, მაგრამ ადმინისტრაციამ სამი-მეოთხედი მათგანი ადმინისტრატიულის წესით განაძევა სატახტო ქალაქიდან. უეჭველია, ბევრს ერჩია ციხეში ყოფნა ვადამდე, ვიდრე ვინ იცის, რა ხნით პეტერბურგიდან გაძევება. რა არის ეს, თუ არ პირდაპირ მასხრად აგდება სათათბიროს კანონისა? მაგრამ ეს კიდევ არაფერი: საქმე ის ისაა, რომ სავსებით მართლდება ის აზრი, რომელსაც. შარშან გაკვრით გამოსთქვამდნენ და რომელსაც თითქმის მნიშვნელობას არ აძლევდნენ. სახელდობრ იმას, რომ იუსტიციის სამინისტროს ვადამდე განთავისუფლების კანონი იმისთვის დასჭირდა მხოლოდ, რომ საპატიმროებში ვაკანსიები გაეხსნა. მართლაც, გახსნა ვაკანსიები, მაგრამ სასჯელი კი არ მოუსპია დამნაშავეთათვის, მხოლოდ შეუცვალა... სადაც ასეთ ფოკუსების გაკეთებასაც აიძულებენ პარლამენტს, იქ მომავალ საპარლამენტო სესსიას იმედით და ინტერესით ვინ უნდა მიეგებოს?

ეხლანდელი საოპოზიციო პრესსა— თითქმის სულ კადეტებისა—მარტო იმის ცდაშია, რომ „ჭეშმარიტ რუსებს" დაუმტკიცოს: თვით-მპყრობელობა მოისპო და კონსტიტუცია გვაქვსო. ყოველ დღე ამის დამამტკიცებელ „სურათებს" ეძებს და თავის თავს აჯერებს, ვითომ ილლიუზიებით შეპყრობილნი შავ-რაზმელები არიან, რომელთაც ჰგონიათ, ვითომ 17 ოქტომბრის შემდეგ ძველი რეჟიმი დარჩაო; ნამდვილად კი ილლიუზიების მატარებელი „მავრი" კი არ არის, რომელიც ჯერ მკვიდრ ნიადაგზე სდგას, არამედ ის, ვინც თავის თავსაც ატყუებს და სხვების მოტყუებასაც ფიქრობს, როცა ამბობს, რომ ხიდი ჩატეხილი აღარ არისო და ლეგალურ ოპოზიციის წარმოება შეიძლებაო. მომავალი საპარლამენტო სესსია კიდევ ერთხელ დაამტკიცებს ამას...

## დეპეშები

პეტ. რბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

19 სექტემბერი

### საზღვარ-გარედ

**ლონდონი.** „ტაიმს" თეირანიდან დეპეშით ატყობინებენ: თეირანში ცნობა მოვიდა ისპაჰანიდან და იეზდიდან შირაზისკენ მიმავალ გზებზე აუარებელი ყაჩაღები დათარეშობენო. ყაჩაღები შიშის ზარსა სცემენ სოფლებს და ქალაქებს. ამ გზებით საქონლის გადატან-გადმოტანა შესწყდა. თეირანში რამდენიმე კაცი დააპატიმრეს, ამბობენ პოლიტიკურ საქმეებისთვისო.

**თეირანი.** ნაციონალისტ მუნტაზირ-დოულეს სახლში დააპატიმრეს ძველი რეჟიმის მომხრეები: გუბერნატორად ნამყოფი მეშხედა-ნეირუდდოულე, ბინუდ-დოულე, ცზამუსსალთანე და საჯიპუდ-დოულე. დაპატიმრებულებს სათავდებოდ 30,000 მანეთი გამოართვეს.

**თავრიზი.** ამ მოკლე ხანში მუშაობას დაიწყებს ორი ბამბის საქსოვი ქარხანა. ქარხნების მოსაწყობად დაიხარჯა 300,000 მანეთზე მეტი. ქარხნებს ხსნიან გერმანელი ინჟენრები და ტეხნიკოსები.

### საზღვარ-გარედ.

**ვენა.** „კორესპონდენტ ბიუროს" ცეტინიედან ატყობინებენ: უკვე დამთავრდა გამოძიება ამ დღეებში აღმოჩენილ შეთქმულების შესახებ. შეთქმულებს სდომებიათ ახლანდელ მთავრობის დამხობა, მთავარ ნიკოლოზის ტახტიდან ჩამოგდება და მის მაგიერ ბატონიშვილ დანიელის გამეფება, ეხლანდელ მინისტრების დახოცვა და განთავისუფლება იმ პირებისა, რომელთაც 1907 წელს ყუმბარების გადაგდება ბრალდებოდათ. შეთქმულების რიცხვი 20 კაცს უდრის. 15 შეთქმული ალბანიაში გაიქცა. მცხოვრებლები შეთქმულების დასჯას თხოულობდნენ. ჩერნოგორიაში ამ შეთქმულებას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევენ.

**მადრიდი.** მელილიიდან ოფიციალურად იტყობინებიან: სუკელიანისის მიდამოების დათვალიერების დროს მავრებმა ესპანელებს მოუკლეს 1 გენერალი, 2 კაპიტანი და 14 სალდათი, დაუჭრიათ 110 ჯარის-კაცი.

**ორანი.** ტლულის, ბრანესის, ელ-რიატის და ხიანის თემებისგან შემდგარი ცხენოსანთა რაზმი სელუმზე გასალაშქრებლად წავიდა. სელუმი ისპანელების ხელშია.

**ციურიხი.** დაიწყო ჰაეროპლანების გაჯიბრება. გაჯიბრებაში მონაწილეობას იღებს 24 ჰაეროპლანი.

**ნიუ-იორკი.** პორტლანდ შტატში ჩამოვიდა პირი და მისი ცოლი. ხალხი პირის აღტაცებით მიეგება.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** ადმინისტრაციის განკარგულებით ხელმეორედ დაიხურა იოანნიტების თავშესაფარი. ადმინისტრაციამ იოანიტების თავშესაფრებიდან წაიყვანა 113 ბავშვი. ბავშვები სხვა და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებაში მოათავსეს. იოანიტებსვე აღმოაჩნდათ ის 50 ბავშვი, რომლებიც ადმინისტრაციამ ამ რამდენიმე ხნის წინად მათ თავშესაფრებიდან წაასხა. იოანიტების მეთაურებს სამართალში აძლევენ.

**პეტერბურგი.** მთავარმა სამხედრო სასამართლომ უშედეგოდ დასტოვა ელისავეტოგრადის სამხედრო საავადმყოფოს ექიმის როზოვის საკასაციო საჩივარი. როზოვს ბრალსა სდებდნენ, ავადმყოფს დროზე არ აღმოუჩინა დახმარებაო, რისთვისაც ელისავეტოგრადის სამხედრო სასამართლომ 30 დღით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

**კურსკი.** სამოსამართლო პალატამ დაამთავრა ობოიანსკის ერობის გამგეობის საქმე. გამგეობას ბრალდებოდა 21,000 მანეთის გაფლანგვა. სასამართლომ გადაუწყვიტა: დამზღვევ განყოფილების გამგეს იუროკს სამი წლით ტუსაღთა განყოფილება, გამგეობის თავმჯდომარედ ნამყოფს ბროვცინს და გამგეობის წევრებს: გორიაინოვს, სოკოლოვს და როგოვს სამსახურიდან გადაყენება, მელიქოვი გაამართლა. ამას გარდა ბრალდებულები მოვალენი არიან გადაიხადონ გაფლანგული ფული—21,000 მანეთი.

**პეტერბურგი.** ხოლერის მხრივ საშიშოდ გამოაცხადეს: ასტრახანი, ვლადივოსტოკი, კოვნო, ნოვოალექსანდროვსკი და ნოვოალექსანდროვსკის, ნერესტკის, ტვერის, კორჩევსკის, ნოვორჟსკის, ორპანსკის და სენენსკის მაზრები.

**კიევი.** მემამულეებმა სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს ანდრეი ალექსანდრეს ძე ბობრინსკი.

**კიშინევი.** ორგეევის მაზრაში მიწაში იპოვეს ფუთ-ნახევარი ოქროს ფული.

**უფა.** სადგურ ბიანკაზე ათმა შეიარებულმა ბოროტგამზრახველმა გაცარცვა უსკატავსკის ქარხნის მეარტელე. წაიღეს 15,000 მანეთი.

**ნოვოჩერკასკი.** სოფელ უსტ-ბელოკალიცვინში მოჰკლეს თათრის ოჯახობა, სულ 5 სული.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

**სამხედრო წესების მოხსნა.** „კასპ".-ს ტფილისიდან დეპეშით ატყობინებენ: „ამბობენ, ჩამოვა თუ არა ტფილისში კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი, ტფილისსა და მის მაზრაში სამხედრო წესებს მოხსნიანო".

**✦ დუშეთის საქმე.** სამშაბათს, 22 სექტემბრისთვის, ტფ. სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე დუშეთის ხაზინიდან ფულის გატანის შესახებ.

**✦ ტფ. ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭოს ხვალინდელ სხდომას განსახილველად წარედგინება 19 საქმე. ქალაქის თავის მოადგილემ სთხოვა ხმოსნებს, უსათუოდ 8 საათზე გამოცხადდნენ.

**✦ მკვლელობისთვის დაპატიმრებულნი.** როგორც გუშინ ვწერდით, შუა ბაზარში, სიონის ქუჩაზე, რამდენიმე კაცი თავს დაეცა მეორე გილდის ვაჭრის შვილს აბგარ სარქისოვს და იქვე მოჰკლა. სარქისოვთან ერთად მიდიოდა ტფ. მოქალაქე ლევან ს. ეგიაზაროვი. 8 ტყვია ეგიაზაროვსაც მოჰხვედრია. იგი ამ ჟამად საავადმყოფოშია. აქვე სროლის დროს დაჰრილა ვაჟთა მესამე გიმნაზიის მოსწავლე არამ მელიქ-სადეკიანცი. პოლიციამ დააპატიმრა ალექსი მიროტაძე, აბგარ აკობიანიმ ავეტიქ ბალდასარიანცი, ტურაბოვი, ალექსანდრე ბეგიაშვილი და შავერდოვი.

**✦ „ერი“.** დღეს გამოვა მე-2-ე ნომერი „ერისა“ შემდეგის შინაარსით: მეთაური. — რუსთაველის ნეშტს, ლექსი ვაჟა-ფშაველასი. — „ერის უფლება“, Bâton-ისა. — „მინიატურები“, ნ. ლ.—ისა. — „გაროზგილი“, ი. ელეფთერიძისა. — „მელოდია“, ლექსი ი. გრიშაშვილისა. — შინაური მიმოხილვა. — თეატრი, B.—ისა. — „სიმღერა“, ლექსი მჭედლიშვილისა. — „ჩემს მუზას“, ლექსი ია ეკალაძისა, — „ქართულ სამართლის ისტორია“, ივ. ჯავახიშვილისა. „ერის“ რედაქციის ადრესი: სათავად-აზნაურო ქარვასლა, სასახლის ქუჩა, წ.-კ.-ის საზოგადოების გვერდით.

**✦ პოლიტიკური საქმე.** ორშაბათს, 21 სექტემბრისთვის, ტფ. სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ხაშურის მცხოვრების მურმანიშვილისა, რომელსაც ჰბრალდება ს.-დ. პარტიის ხაშურის ბიუროს წევრობა.

**✦ უპასპორტოები.** 18 სექტემბერს გაჩხრეკის დროს პოლიციის მე-6 ნაწილში დააპატიმრეს 11 უპასპორტო კაცი, მე-8 ნაწილში—40.

**✦ რევიზია.** „ბაკუ“-ს სიტყვით, ხმა დადის, რომ ამ მოკლე ხანში მოხდება ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის დაწესებულებულებათა რევიზია.

**✦ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრება.** მოვაგონებთ ჩვენის ისტორიის მოყვარულთ, რომ დღეს, საღამოს 8 საათზე, სამეურნეო ბანკში მოხდება ჩვეულებრივი საზოგადო კრება საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა. კრებაზედ წაიკითხავენ რეფერატებს: ბ-ნი მ. ჯანაშვილი, „სერაპიონ ზარზმელი, ახ ლად აღმოჩენილ ხელნაწერით“, და დეკ. კ. კეკელიძე, „ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობის სამეცნიერო მნიშვნელობა“.—საზოგადოების წესდების ძალით კრებაში არა-წევრებსაც შეესვლებათ.

**✦ დიდი წვიმა.** 17 სექტემბერს ბაქოში კოკისპირული წვიმა მოსულა და წყალი მოვარდნილა. წყალს ტრამვაის ლიანდაგი გაუფუჭებია, შევარდნილა სარდაფებში და ფქვილის საწყობებში. დამხრჩვალა ერთი ქალი. ქალთა გიმნაზიაში ამ წყალდიდობის გამო სწავლა შეუჩერებიათ.

**✦ გადაყენებული შაჰი ბაქოში.** 18 სექტემბერს ბაქოში მისულა გემი „სკობელევი“, რომელზედაც იყო გადაყენებული შაჰი სპარსეთისა მაჰმედ-ალი. გემს ახლდა ერთი კრეისერი.

**✦ ბათუმის სამხედრო ნავთსადგურის გაუქმება.** მთავრობამ ბრძანება გასცა, გაუქმდეს ბათუმში სამხედრო ნავთ-სადგური.

**✦ საქმის გადადება.** 17 სექტემბერს პალატაში უნდა გარჩეულიყო საქმე თავ. გიორგი ამილახვრის მოკვლის განზრახვის შესახებ. როგორც ვიცით, 1906 წელს ოლგას ქუჩაზე ყუმბარა ესროლეს თავ. გიორგი ამილახვარს და მასთან მყოფთ. შეიპყრეს მაჰავარიანი, ზუბაშვილი და ჩუბინიძე. საქმე მრავალჯერ დაინიშნა, მაგრამ არც ერთხელ არ გაირჩა, რადგან თითონ თავ. ამილახვარი არ ეჩვენება სასამართლოს. ეხლაც საქმე ამ მიზეზით გადაუდვიათ.

**✦ ბათუმის სახალხო უნივერსიტეტი.** ბათუმის სახალხო უნივერსიტეტს გადაუწყვეტია, დაარსოს ბათუმში სახალხო სკოლები ქართველთა, სომეხთა და რუსთათვის („ზ.“)

**✦ ტფ. საბალოსნო სკოლის გამგე.** ტფ. საბალოსნო სკოლის გამგის ადგილი, სხვათა შორის, უთხოვნია ნ. ჩიგოგიძეს, რომელსაც პეტერ. უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემატიკური ფაკულტეტი აქვს გათავებული.

**✦ სპარსეთიდან შემდეგი წერილი მივიღეთ:** აქ, სპარსეთში ბრძოლების დროს, სხვათა შორის, მოჰკლეს ერთი ქართველი შალვა დოლიძე. ამხანაგებმა თავიანთ შორის მოჰკრიბეს ფული მოკლულის მშობლებისათვის, მაგრამ რადგან ადრესი არ იციან, ფული ვერ გაუგზავნიათ. მშობლებმა გვაცნობონ თავიანთი ადრესი. ჩვენი ადრესი: Рештъ. Контора Туманянца, Алек. Мелит. Абрамянцу, для Серго.

**✦ ფოთიდან გვწერენ:** „ვიპოვეთ კაცის ოქროს ბეჭედი, ფოთის ტრამვაის ვაგონში. დამკარგველს ვთხოვ მიმართოს ტრამვაის მოიჯარადრეს, კოსტა ქოიავას“.

✦ ეს რამდენიმე წელიწადია ტფ. ქალაქის გამგეობასა და სამხედრო უწყების შორის მოლაპარაკებაა 487 დესეტინა ადგილის შესახებ, რომელიც ქალაქმა ჯარს უნდა დაუთმოს სავარჯიშო ადგილად. ქალაქი დესეტინას აფასებს 600 მან., ხოლო სამხედრო უწყება 75 მანეთზე მეტს არ აძლევს, ეს ადგილი ქალაქის მახლობლად მდებარეობს. ამას წინად განსაკუთრებული კომისია იქმნა არჩეული, რომელსაც დაევალა ადგილის შეფასება.

## მოწერილი ამბები

**წყალტუბო** (იმერეთი). წყალტუბოს აბანო, რომელსაც მეტად დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი, როგორც ქარების სამკურნალოს, მდებარეობს ქუთაისიდან სულ ათ ვერსის მანძილზე. უმთავრესი „სეზონი“ იწყება 15 აგვისტოს და თუ ამინდმა ხელი შეუწყო (ბინების უვარგისობის გამო აცივებისას აქ ბანაობა საშიშროა) ოქტომბრის დამლევამდე გრძელდება. აუარებელი ხალხი აწყდება ჩვენი კუთხის ყველა მხრიდან ამ წყლებს. უტყუარია ის გარემოება, რომ ეს აბანოები ძრიელ მარგებელია ავადმყოფთათვის, მაგრამ ამ ბუნებრივ სიმდიდრეს მრავალი გარეშე დამაბრკოლებელი მიზეზი ახვევია. მისი ასე უყურადღებოდ დატოვება პირდაპირ უვიცობას ან სასტიკ დაუდევრობას უნდა მიეწეროს.

დავიწყოთ გზიდან. გასცდებით თუ არა ქუთაისს, იწყება აუტანელი, ოღრო-ჩოღროიანი გზა. ავადმყოფ-დასუსტებულ ადამიანს ამ უხეირო გზაზე მოგზაურობა ურემ-დილიჟანების ჯაყაჯუყში მეტად უძნელდება. უბრალო წვრილი ქვით რომ გაიტკეპნოს გზა, მიმოსვლა შესამჩნევად გაადვილდებოდა. მერე მთელი ეს მხარე ხრიოკ ქვად მაინც არ იყოს ქცეული, მაგრამ ვინაა პატრონი. გზა თუმცა სახაზინოდ ითვლება თურმე, ბევრიც საკადრისი ხდებათ, ვინც გზით სარგებლობს, მაგრამ ამ გზის გაუმჯობესებისათვის თავს არავინ იტკივებს.

მიაღწიეთ აბანოებს. თვალ წინ იშლება დაბაში დიდრონი ეზო ქვითა და კეცით აშენებული. პირველი შთაბეჭდილება სამწუხაროა. იკითხავთ ბინას. აქ-კი ნურას უკაცრავად. ბინას ან სულ ვერ იშოვით, ან იშოვით ისეთს, რომელშიაც დამის გათევას მხოლოდ გაჭირვება თუ გაგაბედვინებთ. საერთოდ ოთახი ისეთი სამდე იქნება და ისიც ისეთი, რომ ორი ადამიანი ძლივს მობრუნდება თავისუფლად. ოთახის ქირას დღეში იხდით მანეთს. კარები და პირდაპირი კედელი იმდენად ფარდალალა-დაცხავებულია, რომ აქლემები გაძვრებიან შიგ. წამ და უწუმ შემოქარიქებს ქარი, და ახლად ტან ნაბანს დიდი სიფრთხილეა მართებს, რომ არ გაცივდეს. არ არის მოსამსახურე. ირგვლივ საოცარი ჭუჭყი და უსუფთაობაა. ოთახებში ყოველგვარი მწერი და „მხეცი“ ბინადრობს და ადამიანს მოსვენება არ აქვს. ბევრი მთელ დამეებს უძილოდ ატარებს და სანთელ ანთებულ ოთახში შემოსეულ მხეცების მოგერებას უნდება.

ბინის საკითხს ზედ ერთვის სანოვაგის საკითხი. აქეთ წამომსვლელმა სანოვაგე თან უნდა იგულოს. თუმცა სოფელი აბანოებს გარშემო ართავს, მაგრამ სანთლითაც რომ ეძებოთ, ვერ იშოვნით სოფლის ნაწარმოებს: ქათამს, ყველს, რძეს, კვერცხს და სხვას. ბურთი და მოედანი დარჩენია ოთხიოდე მედუქნეს, რომელნიც გრამმატონ-არდის ჭკვიანით, „შენი ჭირიმე“— „შენ გენაცვალეობის“ დაქუცით თავს დასტრიალებენ მუშტარს და ტყავს აძრობენ. უხვად მოაპოვებთ მხოლოდ დამპარებული ღვინო. ხორცი თუ 80 კაპეიკამდეა და ისიც მუდამ არაა. ხშირად ბურიც შემოაკლდებათ ხოლმე. ის, რაც აქ ერთ კვირას დაგეხარჯებათ და ნახევარ დროს მშიერი გაატარებთ, ეს ხარჯი დიდ ქალაქში ორ კვირას ყველაფრად გეყოფათ!

ამ ჟამად ავადმყოფი 1000 სულზე გადიდებით მეტი იქნება. ბინის უქონლობისა გამო შორნულ სოფლებიდან მოსულნი დამეს ურემზე ან ურმის ქვეშ ნოტიო მიწაზე ათევენ ხოლმე. ადვილი წარმოსადგენია, რამდენად მავნებელი უნდა იყოს ასეთი დამის თევა, ისიც ტანნაბან ავადმყოფთათვის. ხშირად დამე წვიმა წამოვა და ეს ამოდენა ხალხი წვიმისაგან დასველებული ეზოში კანკალებს.

თვით აბანოზე ნურას იტყვით. ეტყობა ამ მამულის სვე-ბედის გამგენი წყალტუბოს მიდამოს არ გასცილებიან, თორემ შერცხვებოდათ თავიანთ აბანოებისათვის „აბანო“ ეწოდებინათ. აბანო იმყოფება ეზოს თავდადმართზე, დაბლობ ადგილზე. ორი დღე ზედიზედ რომ იწვიმოს, ეზოში დაგროვებული წვიმის წყალი აბანოს შენობას მიაწყდება, შეიჭრება დაცხავებულ ხის კედლებში და მთელ კვირაობით აბანოს გაასუფთებს—სილით ამოავსებს აუზებს. ვერ მოუხერხებიათ უბრალო არხი შემოავლონ აბანოს გარშემო ამ „უბედურების“ თავიდან ასაცილებლად, რომ წვიმის წყალი იქვე დელეში გადაუშვან.

აბანო ერთ შენობად გადახურული, რამდენიმე ნაწილადაა დაყოფილი.ა არის ქრისტიანთა და ებრაელთათვის ცალცალკე საბანებელი, როგორც მამაკაცთათვის ისე დედაკაცთათვის... მაგრამ იმაზე ნურას უკაცრავად, თუ ერთი აუზიდან ჭუჭყიანი წყალი მეორე აუზში გადიოდეს, კედლებში დარჩენილ ხვრელების საშუალებით, რადგან აბანოს მხოლოდ ერთგანა აქვს წყლის გასაშვები მილი. შებინდებისას დამპის მაგივრად აბოლებენ ძველ დროინდელ ჭრაქს, რომლის ჭვარტლ-გვამლისაგან მოწამლულია ჰაერი, და ფუშდება რიგიანი ტანისამოსი. კედლებზედ ფიცარი [illegible] ... [illegible] ... [illegible] ... არის ამის გამო მუდამ ნესტი და აყალმაყალი. აბანოს თავებზე იმგვარადაა ქვა მოგებული, რომ ტალახი და ჭუჭყი თავისუფლად ჩამოდის აუზში და სუფთა წყლის მიწის ფერად ჰხდის.. ერთის სიტყვით აბანო სასტიკ ანტისანიტარულ მდგომარეობაშია.

სადაა დაღდოცვილი ადმინისტრაცია, ან ხალხის მოკეთე ექიმი, რომ ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას, შეიხედონ თავიანთ ბედნიერ თვალით ამ უსუფთაობის სამეფოში და თუ ნება არა, ძალით მაინც აიძულონ აბანოს პატრონნი, იზრუნონ სათანადო სისუფთავეზე. თქვენ აბანოს პატრონების სიხარბე სთქვით, თორემ მხოლოდ ერთი დღის შემოსავალი რომ გადასდონ, აბანოს უცბად ეცვლებოდა სასიამოვნო ფერი. ყოველდღიური შემოსავალი 400 მანეთს აღემატება!!...

ორი წილი აბანოსი ეკუთვნით თურმე ორ ძმა იოსელიანებს დანარჩენი მესამედი-კი ოთხმოცამდე კაცს. ეს ორმოცი პირი ყოველგვარ პირობასა და ცვლილებას დასთანხმდება, მაგრამ მთელი ბედი ამ მამულისა იოსელიანების ხელშია, ესენი-კი წმინდა მოვალეობად სთვლიან მხოლოდ იმას, რომ ფეხიფეხზე შემოდგმული უზრუნველად ქანქარი ჰკრიფონ და მოსარჩენად მოსული ავადმყოფნი მაკრატლითა ჰკრიჭონ...

უნებურად გებადება სურვილი, რომ ეს ბუნების სიმდიდრე სადა შეიძლება მალე გადავიდეს ამ უღირსთა ხელიდამ უფრო ღირსეულის ხელში. და ეს რომ ასე მოხდება დღეს თუ ხვალ, ამას წინასწარმეტყველება არა სჭირია.

**ჯაფარ-ფაშა.**

## სპარსეთი

**გერმანია და სპარსეთი.**

როგორც ისმის, ბერლინიდან თეირანში ჩავიდა რამდენიმე გერმანელი აფიცერი, რომლებიც სპარსეთის ჯარის ინსტრუქტორებად დაინიშნებიანო; მინც ბოლოს დროს დიდ-ძალი გერმანელი გაჩნდა სპარსეთში და ყველა მათგანი სასარგებლო კონცესიების აღებას ცდილობს. დაჟინებით ლაპარაკობენ, რომ სპარ-

## მწარე სინამდვილე

„Je veux parler sans gêne“...

1.

მრავალი წელი—საუკეთესო დღენი ჩემის სიცოცხლისა—სამშობლოს გარედ გავატარე. მთელი ორმოცდახუთი წელიწადი მოწყვეტილი ვიყავ ჩვენ ცხოვრებას. გავრუსდი კიდეცა და ინტერნაციონალისტადაც გადავიქეცი. გავრუსდი, როგორც იტყვიან, თავიდან ფეხებამდე. ვერც კატკოვი და იანოვსკი, ვერც ლევიტსკი, რომელიც ზმნების შესასწავლად ბავშვებს აყეფებს და აკნავლებს, სიზმრადაც ვერ წარმოიდგენდნენ ასეთ ნაყოფს გარუსებისას: მე სრულებით დავივიწყე სამშობლო ენა. რუსული ენა, აგრეთვე ფრანგული და ინგლისური ჩემთვის ყოველ დღიურ ენად გადაიქცა, რადგან ჩემი მეგობრები და ამხანაგები, ორიოდე ქართველის გარდა, იყვნენ და არიან რუსები, ფრანგები, ინგლისელები, ჰოლანდიელები, გერმანელები, იტალიელები და ამერიკელებიც-კი.

მარტო ენით კი არა, აზრ-შეხედულებითაც ინტერნაციონალისტად გადავიქეცი. ხალხთა ძმობა, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად, ჩემ დევიზად გადაიქცა ჯერ ისევ იმ დღიდან (1876 წ.), რა დღესაც დიდ ასოციაციაში შევდგი ფეხი. მართალია, გარუსების დროს მე პუშკინმა და გრიბოედოვმა გამიტაცეს და არა ბულგარინმა და გრეჩმა; თაყვანის-მცემელი გავხდი ბელინსკისა, გერცენისა, გრანოვსკისა და არა კატკოვისა, შევირევისა და ლეონტიევისა; ასევე იყო საზღვარ-გარედ... მეტად მიმაჩნია ჩამოთვლა ევროპის მოაზრეებისა, პოეტებისა და პოლიტიკურ მოღვაწეებისა—ეს შორს წამიყვანს. საკმაოა ვთქვა ამ ჟამად, რომ როგორც რუსი, ისე ევროპიელი მოაზრენი და მოღვაწენი, აგრეთვე ის ასოციაციები, რომლებშიაც მე ვღებდი მონაწილეობას, მასწავლიდნენ წინაამდეგ იმისას, რაც მე ვნახე და მოვისმინე ჩვენსა, საქართველოში დაბრუნების დროს...

გულდასმით ვათვალიერებდი ყველაფერს, გულის-ყურით ვისმენდი ცხარე სიტყვებს ორატორებისას, პარტიებისა და საზოგადოებრივ მდგომარეობის განურჩევლად... და ყველაფერი, რაც-კი ვნახე და გავიგონე, მეტად ველური და უცნაური იყო. დარდმა და ნაღველმა მოიცვა ჩემი არსება, დაღლილი გული მწარედ ამიკვნესდა.

მიზეზიცა მქონდა. აბა ყური დამიგდეთ, მოისმინეთ გარუსებულ და გაინტერნაციონალისტებულ ადამიანის სიტყვები.

* *
*

დედამიწაზე ყველა ხალხში მიღებულია, რომ მათი ეროვნული სიმდიდრე, მიმოსვლის საშუალებანი ხმელეთსა და ზღვაზე, ფოსტა და ტელეგრაფი, ვაჭრობა და მრეწველობა, სკოლები, საავადმყოფოები და თავშესაფარები, ადმინისტრაცია და სასამართლო **არსებობს თვით ხალხის საკეთილდღეოდ, ემსახურება ამ ხალხის საჭიროებას, არის წყარო საზოგადოებრივ და კერძო ცხოვრების გაუმჯობესებისა,** აძლევს სამუშაოს თვით ხალხს, ადგილობრივ მცხოვრებს.

ჩვენში?

ჩვენში არსებობს ნავთსადგურები, არის იქ სანაოსნო საზოგადოებანი, მაგრამ ამ საზოგადოებათა გემთ-სამსახურებლებიდან განდევნეს ან სდევნიან ქართველებს.

არის ჩვენში საფოსტო გზები, მაგრამ იქ ვერა ნახავთ ვერც ერთ ქართველ მეეტლეს.

არის ჩვენში რკინის გზები, მაგრამ იქიდან ან განდევნეს ან სდევნიან ქართველ მუშებსა და მოსამსახურეებს.

არის ფოსტა და ტელეგრაფი, მაგრამ ამ დაწესებულებათა ადმინისტრაციაში ქართველი ორიოდე მოიპოვება და ისიც დაბალ თანამდებობაზე

შეჰხვდებით ჩვენში საავადმყოფოებს, სამკურნალოებს, თავშესაფარებს, მაგრამ განა ბევრსა ნახავთ იქ ქართველ ადმინისტრატორს, ექიმს და თვით ავადმყოფს?

არსებობს ჩვენს ქვეყანაში ინსტიტუტები, გიმნაზიები, სხვა საშუალო სკოლები, მაგრამ იქ ქართველ მასწავლებლებს არ უშვებენ, სამშობლო ენას არ აჰკანებენ.

არის სახალხო სკოლებიც, მაგრამ იქ ხალხის შვილებისაგან თხოულობენ სიმუნჯეს სამშობლო ენაზე, ხოლო თუ მიწასთან გასწორებული გლეხობა თავის საცოდავ გროშებით მოისურვებს სკოლის აგებას, სადაც მისი შვილები შესძლებდნენ სწავლას სამშობლო ენაზე, ასეთ სკოლის გაღებას ხელს უშლიან, და მე მინახავს დაკეტილი, დაცარიელებული ორ-კლასიან სკოლის ახალი შენობა...

არსებობს ჩვენში უძველესი საქრისტიანო ეკლესია მდიდარ საეკლესიო ქონებით, ხუროთ-მოძღვრების საუცხოვო ნაშთებით... მაგრამ ეს ქონება ქართველებისა აღარ არის, ხოლო თვით ნაშთები, უპატრონოდ მიტოვებული, ინგრევა და მიწასთან სწორდება.

არსებობენ პალესტინაში და ათონის მთაზე ქართველთა უძველესი და უმდიდრესი მონასტრები, მაგრამ ეს მონასტრები უცხოელებს გადაეცათ. ამავე უცხოელებს გადაეცათ მონასტრების მიწები საქართველოში. ქართველი გლეხები, რომელნიც ამ მიწებზე სცხოვრობენ და ოფლსა ჰღვრიან, უცხოელ ბერებს აძლევენ გადასახადებს.. ამ გვარ მოვლენას მთელ მსოფლიო ისტორიაში ვერ შეჰხვდებით! ხალხს უცხოელებმა მოჰპარეს ძვირფასი განძი და, სამაგიეროდ ჯილდოს ნაცვლად, გაქურდული ხალხი მტაცებელ უცხოელთა სასარგებლოდ იხდის ფულს, ამასთან იხდის შთამომავლობიდან შთამომავლობამდე... მართლა, რომ გასაოცარი მოვლენაა...

არსებობს ჩვენში ადმინისტრაცია—მაღალი, ცენტრალური, და დაბალი, პროვინციალური, მაგრამ ქართველისთვის იქ ადგილი თუ არის, მხოლოდ ბოქაულისა და სტრაჟნიკის თანამდებობაზე.

არსებობს ჩვენში და ჩვენთვის სასამართლო, მაგრამ იქ საქმე სწარმოებს სხვა, გაუგებარ ენაზე.

გვაქვს ჩვენ ეროვნული საუნჯე და ეროვნული მიწა-წყალი. სპარსეთის მეფის კიროსის დროიდან—ამბობს ისტორია—ესე იგი 25 საუკუნის განმავლობაში ჩვენი ხალხი თავის მკერდით და სისხლით იცავდა თავის მიწის ხელ-უხლებლობას. ყოველი ადლი ჩვენი მიწისა მორწყულია ქართველ ხალხის ათას თაობის სისხლით. დღეს კი ხალხის ეს საუნჯე ჩვენ ხელთ არ არის. მარჯვნივ და მარცხნივ ჰრიგებენ მას და ასახლებენ იქ, ქართველ გლეხისა და მუშის გარდა ყველას. ხოლო გაღატაკებული, გაბოგანოვებული ქართველი გლეხი იძულებული ხდება, გაექცეს სამშობლო კუთხეს, ხელი აიღოს აბრეშუმის, ვენახის, თამბაქოს, ბამბის, ლობიოს და სიმინდის მაღალ კულტურაზე და ბურთი და მოედანი დაუთმოს პირველ-ყოფილ კულტურის, კომბოსტოსა და თივის დამმუშავებელ ხალხს...

* *
*

ასეთია სურათი ჩვენის ცხოვრებისა. რაც უფრო მეტს ვაკვირდები ცხოვრებას, მით უფრო დარდი მაწვება, გულ-საკლავი კითხვები მერევა თავში.

საიდან გაჩნდა ეს უბადრუკი ცხოვრება? რამ დაჰბადა გაბოგანოვება, დაჩაჩანაკება ეკონომიურ, საზოგადოებრივ და კულტურულ მოქმედების ყველა დარგში? რამ მოიტანა ამდენი დამცირება, დაკარგვა მთელი ხალხის საკუთრებისა, იმ ხალხისა, რომელსაც აქვს ორი ათასი წლის პოლიტიკური ისტორია და თექვსმეტი საუკუნის ქრისტიანული ცივილიზაცია? საიდან მოდის ეს უბედურება?

2.

იქნებ იმათ გაგვაღატაკეს, მონებად გვაქციეს, ვინც დაგვიპყრო და დაგვიმორჩილა? მაგრამ არა. ჩვენ ხომ დამპყრობებთან არა გვქონია საქმე. ჩვენ ძმური კავშირი დავდეთ ერთ-მორწმუნე ხალხთან. ძლიერმა იმპერიამ მიგვიღო თავის მფარველობის ქვეშ. იმპერატორები პავლე პირველი და ალექსანდრე პირველი საქართველოს შეერთების გამო გამოცემულ მანიფესტებში უზრუნველ-ჰყოფენ უფლებებს და ქონებას ჩვენის ერისას. შეიარეთ „დიდების ტაძარში“, გოლოვინის პროსპექტზე, და იქ კედლებზე წაიკითხავთ იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტის შესანიშნავ სიტყვებს... ხოლო თუ ჩაიხედავთ თვით ხელშეკრულების ტექსტში, რომელიც დამტკიცებულია იმპერატორის მიერვე, და აგრეთვე იმ დებულებებში, რომელიც საქართველოს მართვა-გამგეობას შეეხება, დაინახავთ, რომ ეს მართვა-გამგეობა ხალხის მიერ არჩეულ კაცების ხელში უნდა ყოფილიყო, რომ ჩვენი ავტოკეფალური ეკლესია ქათალიკოსის მეთაურობით ხელ-უხლებელი უნდა ყოფილიყო, რომ ჩვენი ეროვნული სიმდიდრე და ყოველგვარი შემოსავალი ხალხის კეთილ-დღეობას უნდა მოხმარებოდა. იმპერატორების მანიფესტები—კანონებია იმპერიისათვის. მათ მიერ უზრუნველ-ყოფილი უფლებანი და დამტკიცებული საერთა-შორისო ტრაქტატები სავალდებულოა ყველა ქვეშევრდომისთვის.

არა, ამ ძმურ კავშირს ძლიერ და ერთ-მორწმუნე ხალხთან არ უნდა მოჰყოლოდა შედეგად ჩვენი ცხოვრების უბადრუკობა, ჩვენი გაღარიბება, დაცემა და გაბოგანოვება...

რა არის მიზეზი ჩვენის გაღატაკებისა და უუფლებობისა? რატომ არ დაიცვეს ჩვენი უფლებები?—ვეკითხებოდი ჩემ თანამემამულეებს, ყველა კლასისა და პარტიის ხალხს, და, ჩემდა გასაოცებლად, ირონიული დაცინვა და ხარხარი მესმოდა როგორც წარჩინებულთაგან, მოხელეობითა და ტიტულით აღჭურვილთაგან, ისე იმათგან, ვინც გაბოგანოვებულ-გაღატაკებულია, ვისაც არავითარი პროფესია არ გააჩნია და საზოგადოებრივი მდგომარეობა არ აბადია. მდიდარნი, ტიტულებით დაჯილდოვებულნი და ვარსკვლავებით შემკულნი ამბობდნენ: „იმიტომ ვიქცეოდით ასე, რომ ამით მოგებაში ვიყავით. ჩვენ წინ გადაიშალა ფართო კარიერის მოედანი დიდ იმპერიის სამხედრო და სამოქალაქო ასპარეზზე. თავადებისა და აზნაურების საუკეთესო გვარებს ებოძა მამულები და იჯარები რუსეთ-

სეთის მთავრობა მალე ფულს ისესხებს გერმანიისგანო.

**ოსმალეთის ჯარი სპარსეთში.**

ოსმალეთის ჯარი ხელახლად შევიდა სპართეთში. რაღა თქმა უნდა, ოსმალეთის ჯარი უმიზეზოდ არ გადალახავდა სპარსეთის საზღვარს. გერმანული გაზეთები აღნიშვნენ, რომ ოსმალეთი რუსეთს უგებს თვალსა და ყოველთვის, როდესაც რუსეთი სპარსეთის საზღვარზე გაჰგზავნის ხოლმე ჯარსა, ოსმალეთიც იმ წამსვე ურმიის ოლქში ჰგზავნის ჯარსაო. რევოლიუციონერების გამარჯვებისა და მამედ-ალი-შაჰის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ, ოსმალეთმა გაიყვანა თავისი ჯარი სპარსეთიდან და იმედი ჰქონდა, რომ ამნაირადვე მოიქცეოდა რუსეთიც, მაგრამ ეს იმედი გაუცრუვდა. რუსეთმა თავისი ჯარი დატოვა თავრიზსა და ყაზვინში და ამ ბოლო დროს კიდევ ახალი რაზმები გაგზავნა სპარსეთის საზღვარზე „ყაჩაღ შახსევენების ასალაგმადა და საზღვრის დასაცველად“. რუსეთის მიხედვით, ოსმალეთმაც საჭიროდ დაინახა ჯარის გაგზავნა სპარსეთში საზღვრისა და თავის ქვეშევრდომების დასაცველად და წესიერების აღსადგენადაო.

**რუსეთის ახალ ელჩის აზრი რუსეთის პოლიტიკაზე.**

რუსეთის ახალ ელჩს თეირანში პოკლევსკი-კოზელს უთქვამს „რუს. სლოვოს“-ს კორესპონდენტისთვის: „ჩვენ მოვერიდებით სპარსეთის შინაგან საქმეებში ჩარევას და ბეჯითად დავიცავთ ჩვენს სავაჭრო და ეკონომიურ ინტერესებს. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ბანკები სპარსეთში წმინდა საფინანსო დაწესებულებათა როლს დასჯერდებიან და პოლიტიკაში აღარ ჩაერევიანო.

**ვინ გაიმარჯვა სპარსეთში.**

„რუს. სლოვო“-ს თეირანელი კორესპონდენტი დაწვრილებით აღწერს ნაშაჰარის მამედ-ალის რუსეთში გამგზავრებას. შაჰის გასაცილებლად შეკრებილან სხვათა შორის რუსის აფიცრები, რუსის საელჩოს წარმომადგენლები, ინგლისის საელჩოს წარმომადგენელი კონსული კოუნი და სხვანი.

„ჩვენ, რუსები, ყველანი გაჩუმებულნი ვყავით. ყველას ერთნაირი ფიქრი გვაწუხებდა. ყველას ისე გვეჩვენებოდა, თითქო ვიღაცას ვასაფლავებდით, თითქო სასაფლაოზე ვისხდეთ ვიღაცის ახალ, ჩვენის საკუთარის ხელით გათხრილ სამარის გარშემო.

ყველანი სევდიანად ვიყავით, მარტო ქერა თმიანი ბ-ნი კოუნი იღიმებოდა არხეინად და ჩიბუხს იმზადებდა მოსაწევად.

— დიახ, — სთქვა ერთმა აფიცერმა, დიდ ხანს ნამსახურმა შაჰის სასახლეში — ეს უკანასკნელი აქტია... კარგი შემთხვევა გვქონდა, და ხელიდან გავუშვით... აბა იფიქრეთ... ეს უბედური კაცი თავის ხალხის მოღალატედა და მტრად ვაქციეთ და ბოლოს იმასაც ვუღალატეთ, სიგიჟე, სრული სიგიჟე... ეჰ, ძოდი ისევ დავლიოთ ამ დარდიან გუნებაზე.

ყველა ერთად ავლაპარაკდით, ყველამ გაბრაზებით გავიხსენიეთ რუსეთის მარცხი და ჩვენ ზანტ და ვერაგ პოლიტიკოსების მოქმედება...

მანდ, რუსეთსა და ევროპაში, გაზეთების ცნობების შემწეობით, მეტად ადვილად სწყვეტენ სპარსეთის საქმეებს: იქ რევოლიუციამ გაიმარჯვა და მტარვალი დაამხვესო. მაგრამ ჩვენ, ვინც საქმეში ჩახედულნი ვართ, კარგად ვხედავთ, რომ ეს მარტო ინგლისის გამარჯვებაა და ჩვენი, რუსების, დამარცხება და ჩვენ ხელში შეგვრჩა ერთად-ერთი მეგობარი რუსეთისა, უხასიათო მამედ-ალი, რომელიც ეხლა რუსეთში მიგვყავს და რომელიც ჩვენმავე პოლიტიკოსებმა გადააქცია მტარვალად და ერის მტრად და ამით მთელს სპარსეთს შეაძულა მისი თავი და მასთან ერთად რუსეთიც...

ჩვენ დავლიეთ სადღეგრძელო ბ-ნ კოუნისა, როგორადაც მოკავშირე სახელმწიფოს წარმომადგენელისა. ეს ერთად-ერთი სადღეგრძელოა, რომელიც ჩვენ ზეზე დავლიეთ. ჩვენ ვგრძნობდით, რომ ზრდილობის გარდა, სხვა რაღაცა ძალამაც წამოგვაყენა ფეხზე...

გვიან, ღამეს თეირანში დავბრუნდით. მეეტლე მომიბრუნდა და ხელის ქნევით მითხრა:

— შაჰი გათავდა, ბოლო მოეღო შაჰსა! მშვიდობით, შაჰო?

# ოსმალეთის ამბები

**ახალგაზდა ოსმალთა კონგრესის დადგენილება.**

ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა სალონიკში დაადგინა: მომავალში ხელმძღვანელობა აღარ უნდა გავუწიოთ ჯარსა და ფლოტსა და ეს საქმეები თითონ მთავრობას უნდა მივანდოთო. ეს მუხლი უნდა ამოიშალოს პარტიის პროგრამიდან და კომიტეტის წევრ-აფიცრები უნდა გამოირიცხნენ კომიტეტიდანაო“. (ბ.).

**გაქცეული სომხები.**

სომხის პატრიარქმა დეპეშა მიიღო, რომ ადანიდან გაქცეული 2 ათასი სომეხი კუნძულ კვიპროსზე დაბინავდა და ყველამ მართლ-მადიდებლობა სარწმუნოება მიიღოო.

**კონფერენცია კრიტის საქმეზე.**

ოსმალეთმა წინადადება მისცა დიდ სახელმწიფოებს, კრიტის საქმეს გადასაწყვეტად საერთა-შორისო კონფერენცია შეიკრიბოსო. რუსეთის მთავრობამ ამ დღეებში თანხმობა გამოაცხადა ამ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე. პეტერბურგში ჰფიქრობენ, რომ ეს კონფერენცია მოხდება ან მომავალ ოქტომბრის გასულს ან ნოემბრის დამდეგს.

**აჯანყება ალბანიაში.**

აჯანყება ალბანიაში ჯერ არ გათავებულა და ადგილ ყანების მომკისა და ძნის მოზიდვის შემდეგ იგი უფროდ გაძლიერდება. თუმცა ჯავიდ-ფაშამ ბევრჯელ ძალზე დაამარცხა ალბანელები, ისინი მაინც განაგრძობენ ბრძოლას. ჯავიდ-ფაშაც მხნედ მოქმედებს.

**ოსმალეთის დესპანები.**

ოსმალეთის საგანგებო დესპანები რიფაატ-ფაშის მეთაურობით 22 სექტემბერს მოვლენ ლივადიაში და რუსთ-ხელმწიფეს ჩააბარებენ სულთნის საკუთარ წერილს. ოსმალეთის მინისტრთა საბჭომ უკვე შეადგინა ეს წერილი. იმავე დღეს ლივადიაში მივლენ რუსეთის ელჩი ჩარიკოვი და გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი, რიფაატ-ფაშასა და იზვოლსკის შორის გაიმართება მოლაპარაკება ოსმალეთის მიმდინარე და სხვა მნიშვნელოვან საქმეებზედ.

**სამხედრო გემების შეკვეთა.**

ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა ორი ჯავშნოსანი და ორი კრეისერი შეუკვეთოს გერმანიას.

**სხვა.**

სტამბოლში ჩავიდა ორი ცნობილი ინგლისელი ბანკირი სესხზე მოსალაპარაკებლად. ოსმალეთის მთავრობა 7 მილიონ გირვანქის სესხებას აპირებს. სესხის განაღდებაში მონაწილეობას მიიღებენ ამერიკელი ფინანსისტებიც.

# თეატრი და ხელოვნება

**ტფილისის დასი.** პარასკევს, 18 სექტემბერს, მოხდა სხდომა ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობისა. გამგეობამ მთელი საღამო მოანდომა დასის შედგენას. წრეულს დასში იქნებიან: ქ-ნნი ე. ჩერქეზიშვილისა, ჩირგაძე, ტ. აბაშიძე, ქილარჯიშვილი, მღივანი, კარგარეთელი, ჯავახიშვილი, ლექავა და ნებიერიძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, მესხი, გამყრელიძე, შათირიშვილი, გედევანოვი, ივანიძე, გვარამძე, მატარაძე, საფაროვი, ხაშმელი და სხვანი. რეჟისორობა რიგ-რიგად. გამგეობამ წერილი გაუგზავნა ქუთაისს ი. ზარდალიშვილს და სთხოვა აცნობოს თავისი პირობები. დებიუტი დაენიშნება ქ-ნ კრინიცკის. კვირას, 27-ს სექტემბერს, დებიუტანტების მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „სამშობლო“. გასტროლიორებად მოწვეული იქნებიან: ნ. ჩხეიძე, ნ. დავითაშვილი, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, კ. ყიფიანი, ვ. გუნია და სხვანი.

—

**ქუთაისი.** ქართულ წარმოდგენების სეზონი ქუთაისში წელს გაიხსნება დღეს, კვირას, 20 სექტემბერს. როგორც განცხადებიდანა სჩანს, საინტერესო უნდა იყოს. თეატრი და სცენა შეკეთებულია. დასი შედგენილია ძალოვანი. წარმოდგენებს რეჟისორობს ვ. გუნია. ქუთ. დრამ. საზოგადოების გამგეობა წელს განაგებს ქართულ თეატრის ბედ-იღბალს. ფასები ყველა ადგილზე შემცირებულია და ამას გარდა, კვირაში გამართავს კიდევ თითო სახალხო წარმოდგენას, სულ მცირე ფასებში.

პირველ წარმოდგენისათვის არჩეულია ცნობილი პიესა ჰენრიკ სენკევიჩის მოთხრობიდან გადმოკეთებული „ვიდრე ხვალ უფალო!“ (Qvo vadis?) აკაკის თარგმანი.

ვუსურვებთ გამგეობას და მსახიობთ გამარჯვებას და მუყაით ნაყოფიერ შრომას.

—

**ოპერა.** რამდენადაც ლეონკავალლოს პირველი ოპერა „პაიაცები“-ა გრძნობა მეტყველი, დრამატიზმით აღსავსე, იმდენად სუსტია და უფერული მისივე „ზაზა“. რაღაც გამოურკვევლობის იერი სდევს „ზაზას“-ს მუსიკას. კომპოზიტორს სურს გზა აუქციოს უწინდელ, მითომ დახავსებულ მუსიკალურ ფორმებს, ჰქმნის ახალ ფიგურებს, მაგრამ არაფერი გამოდის. ორკესტრში აუარებელი ღრიანცელია, მომღერლებიც ძალიან ჰკივიან, მხოლოდ ყველა ეს გულს არ ეფონება და გრძნობას როდი გიხიბლავს. პირველ მოქმედებას კიდევ ეტყობა ელფერი მოძრაობისა, ცოტად თუ ბევრად, დასურათება კაფე-შანტანისა და ამ კაფე-შანტანის ქურუმთა ცხოვრებისა, დანარჩენი მოქმედებები-კი, საცა „ზაზა“-ს ტანჯვა-ვაება უნდა იყოს განმარტებული, მოსაწყენია და ძილის მომგვრელი. ძლივს გავუძელ ორ მოქმედებას და მერე თეატრიდან ავიბარგე.

ოპერის ბუნებრივ ნაკლს მომღერალთა კრებულიც ხელს უწყობდა. ბ-ნი ბორისენკოს სიმღერა განწირულებაში მყოფის კივილია. ქ-ნ ვიქშემსკაია-კი, თუმცა დახელოვნებული მსახიობია, მაგრამ მის ხმას გრძნობიერება, მგზნებარება სულაც არა სცხია და ამიტომ მსმენელი გულგრილი რჩება ზაზას კაეშანის მიმართ. ირჩეოდა მომღერალთა შორის მხოლოდ ძველი ჩვენი ნაცნობი ბ-ნი სოკოლსკი, რომელიც მშვენიერი ბარიტონია, ცოტა დიქცია რომ არ უტყუოდეს.

თეატრში საზოგადოება საკმაოდ იყო.

**ინენ.**

# ისაკ მეკინულოვი

(ნეკროლოგი)

ოთხშაბათს, 16 სექტემბერს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქუთაისში გარდაიცვალა ქართველ ებრაელთა ახალგაზდა მოღვაწე ისაკ მეკინულოვი. განსვენებული იშვიათის ნიჭისა და ბუნების ადამიანი იყო. იგი მზად იყო მთელის თავის ძალ-ღონით ემუშავნა თავის საყვარელ ხალხის საკეთილდღეოდ. გულმოდგინედ სცდილობდა ნამდვილი ცოდნა და განათლება შეეტანა ხალხში და გაეფანტა ყოველივე ის, რამაც დრო მოჭამა და რაც ხალხის წინმსვლელობას ეღობება. ჯანკარგი და პატიოსანი მუშაკი ყველასათვის საყვარელი იყო, და ყველას გული დასწყვიტა იმისმა დაკარგვამ. ვინც იცნობდა ისაკს, ყველა „კეთილშობილ ებრაელს და კარგ ადამიანს“ უწოდებდა. განსვენებული დიდი თაყვანისმცემელი იყო [illegible] მაქს ნორდაუს მოძღვრებისა. მას უნდოდა ქართველ [illegible] ლობის გზაზე დაეყენებინა და შეეთვისებინა მათთვის თანამედროვე განათლებულ კაცობრიობის კულტურა. ამასთან იგი სცდილობდა, რაც შეიძლება მტკიცე კავშირი დაემყარებინა ქართველებსა და ქართველ ებრაელებს შორის. სხვაგან, სხვა საზოგადოებაში იგი შესანიშნავი მოღვაწე გამოიქცეოდა, მაგრამ აქ, ჩვენ უფერულ ქუთაისში რომ ყველაფერი არა ჰყავის! ასევე ჯერედ გაუფურჩქვნელად განშორდა წუთი-სოფელს 30 წლის ახალგაზდა მეკინულოვი.

მშვიდად განისვენე პატიოსანო მუშაკო და ჰუმანისტო.

**ექიმი კაკიტელაშვილი.**

# ჩინეთი

**კალგანის რკინის გზა.**

ამ დღეებში ტელეგრაფმა ამბავი მოიტანა, რომ ჩინეთის მთავრობა კალგანის რკინის გზის აშენებას შეუდგაო. ეს გზა რუსეთის საზღვრისკენ მიდის და გაივლის კიახტასა და ურგაზე. რუსის დიპლომატები დიდს პოლიტიკურსა და სამხედრო მნიშვნელობას აძლევენ ამ გზას. მაინც ჩინეთის მთავრობაც უმთავრესად სტრატეგიულის მოსაზრებით აშენებს ამ გზას, თუმცა მას, რასაკვირველია, დიდი ეკონომიური მნიშვნელობაც ექნება. ჩინელები ამ გზას საკუთარის ფულით აშენებენ, უცხოეთ სესხოდ. ჯერ-ჯერობით მხოლოდ 80 ვერსია აშენებული, ხოლო მთელ გზას 1500 ვერსი ექნება სიგრძე.

ამ გზის აშენების გამო დიდ-ძალი ჩინელი გადმოვა რუსეთის საზღვარს ახლო, თითქმის მდინარე ამურის ნაპირებზე დასასახლებლად. ამ ადგილებში წინად რუსის ყაზახები სახლდებოდნენ.

# რუსეთი

**კორვინ-მილევსკი და პოლონური კოლო.** დეპეშებმა უკვე ცნობა მოიტანეს, ვილნოდან სახელმწიფო საბჭოს წევრად ხელმეორედ კორვინ-მილევსკი აირჩიესო. კორვინ-მილევსკი თავის ნებით გავიდა სახელმწიფო საბჭოდან. მიზეზი — მემარჯვენეების პროექტი იყო, რომლითაც დასავლეთ გუბერნიიდან სახელმწიფო საბჭოს წევრების არჩევნები ისე უნდა შე-

---

ში; გაგვეხსნა გზა სასახლეში; ბევრი ჩვენგანი დაწინაურდა; მიიღო დიდი თანამდებობა, სენატორობა, და განა ყველა ამას ვეღირსებოდით, მოწყვეტილ-შემოფარგლულნი რომ დავრჩენილიყავით? განკერძოებაზე, ავტონომიაზე შეუძლიანთ ილაპარაკონ მხოლოდ გაძვალტყავებულ ლიბერალებს და ჩვენებურ ფედერალისტებს“...

აჰა ამბობდნენ საზოგადოების მაღალ წრეების წევრნი, იმ თავად-აზნაურთა გვარების წარმომადგენელნი, რომელთა შორისაც ცოცხლად დარჩა და დღესაც გაღმერთებული ფეოდალიზმის ტრადიციები და მისი სული და გული, და ეს ხალხი ფეოდალის და კარიერისტის ვიწრო აზრ-შეხედულებით მართალიც არის, ჩვენის გაზოგანოებით, ქართველ ხალხის გალატაკებით პირადად მათ თუ არ მოიგეს, არაფერი წააგეს: სქელ-სქელი ეპოლეტები, ვარსკვლავები და ლენტები პირველი ნიშანია მისა. ეს ხალხი გარკვეულ გზას ადგია და მათი სიტყვა ლოგიკას არ არის მოკლებული.

მაგრამ გამაოცეს მე უფრო იმ საწყალო მყვირალებმა, რომელნიც ეგე მუდამ გაჰკივიან სოციალურ სამართლიანობაზე, გლეხთა და მუშათა კლასების განთავისუფლებაზე. გამაოცა მათმა ულოგიკობამ, საოცარმა უვიცობამ, კეთილისა და ბოროტის ერთმანეთში არევ-დარევამ, უგებარმა გულღვარძლიანობამ.

— ხა, ხა, ხა! — დამაყარეს მათ პასუხად: — ერთი შეჰხედეთ ამ ბებერს: [illegible] ათი წელიწადი ევროპაში ცხოვრობდა, „ინტერნაციონალის“ წევრი იყო და ნაციონალიზმზე-კი ლაპარაკობს!..

— საყვარელო ბავშვებო! — ვეუბნოდი მათ: — ინტერნაციონალიზმი ნიშნავს ერების თანასწორობასა და [illegible] და არა ერთი ერის მიერ მეორის შეჭმას. მე გეკითხებით, რა მიზეზია, რომ ჩვენ ხალხს მიწა-წყალი არა აქვს, რომ ჩვენი მუშა სამუშაოს ვერა პოულობს ჩვენის სამშობლოს გზებზე და ქალაქებში? თქვენ-კი მელაპარაკებით ინტერნაციონალიზმზე, რომლისაც არც სტატუტები იცით და არც ისტორია და თვით მნიშვნელობაც არ გესმით.

— ჩვენ სოციალ-დემოკრატები ვართ და ვცდილობთ საზოგადოდ მშრომელთა კლასების განთავისუფლებას, ჩვენ ნაციონალისტები არა ვართ...

— სოციალ-დემოკრატები ბელგიაში იცავენ თავიანთ გლეხების ინტერესებს, აარსებენ კოოპერაციებს და სახალხო სახლებს თავიანთ მუშებისთვის; დანიელმა სოც.-დემოკრატებმა შეაერთეს გლეხთა კოოპერაციები და სასოფლო კრედიტი; შვეიცარიელნი, ფრანგნი, იტალიელნი და ინგლისელნი მხარში უდგებიან თავიანთ ხალხს, იცავენ თანამემამულეთა ინტერესებს და, როგორც ხალხის დამცველებს, დემოკრატიის კონგრესებზე სიხარულით ეგებებიან მათ შვეიცარიელნი, ფრანგნი, ინგლისელნი. ისინი სხვისი ფეხის ხმის ამყოლნი არ არიან. თქვენ-კი ლაპარაკობთ ისეთ საგნებზე, რომლებისთვისაც მარტო ყური მოგიკრავთ, ერთობით უაზრო, მთელი საუკუნით ჩამორჩენილ დიალექტიკურ ფრაზებით. და ამას სჩადიხართ მაშინ, როდესაც თქვენი უფლება გათელილია, თქვენ ხალხს იმ ზომამდე აქვს მიწა-წყალი ჩამორთმეული, რომ რაჭის მაზრაში გლეხი იძულებულია ადგილი ოთხ-კუთხ საჟენობით იყიდოს...

— რომელ უფლებაზე გველაპარაკებით? — მეკითხებოდნენ ირონიით: — ისტორიულ უფლებებს ჩვენ არ ვიცავთ და არც შემდეგში დავიცავთ. ესეც ნაციონალიზმია.

**3.**

მაოცებდა და დღესაც მაოცებს ასეთი პასუხი. თავის დროზე ყველა ისტორიული უფლება წინა თაობების მიერ სისხლითა და ბრძოლით იქმნა მოპოვებული. უდიდესი საფუძველი ინგლისის თავისუფლებისა და მოქალაქობრიობისა—Habeas Corpus—უძველესი ისტორიული უფლებაა. სამასი წლისაა აგრეთვე (1581 წ.) შესანიშნავი დეკლარაცია ჰოლანდიის შეერთებულ შტატების დამოუკიდებლობისა. იგი ნიმუშად გადაიქცა ამერიკის შეერთებულ შტატების დამოუკიდებლობის უფრო ლიბერალურ დეკლარაციისა (1776 წ.). ხოლო ორივე ეს დეკლარაცია ხომ ისტორიული უფლებებია. ისტორიულ უფლებად გადაიქცა აგრეთვე უდიდესი დეკლარაცია ადამიანის უფლებისა, რომელიც საფრანგეთისა და მთელის ქვეყნის დემოკრატიის სიამაყეს წარმოადგენს. ამათზე უფრო ძველია ისტორიული უფლება—საკავშირო ხელშეკრულება 1291 წლისა, დადებული შვეიცარიის თანასწორ და ავტონომიურ კანტონებს შორის. დიახ, ყველა ეს ისტორიული და მეტად ძველი უფლებაა. და აბა ეხლა სცადეთ და ჩამოართვით ციურიხის ხალხს ავტონომია: გიელიხი, იქაური სოციალ-დემოკრატი, პირველი გწვდებათ ყელში. სცადეთ და ჩამოართვით ინგლისელს „ისტორიული“ უფლება „Habeas Corpus“ და პარლამენტალურ პრივილეგიებისა. განა ჰაინდმენი პირველი არ აისხავს იარაღს? სცადეთ და ჩამოართვით ფრანგებს „ისტორიული“ უფლებანი, ხალხის მიერ დიდ რევოლიუციის დროს მოპოვებული, და ნახავთ, თუ რას ჩაიდენენ ჟორესი და გედი...

ისტორიული უფლება!

მერე, განა ყველა უფლება, დღეს მოპოვებული, ისტორიულად არ გადაიქცევა ხვალ, ერთი წლის შემდეგ? მაშ ხალხმა ხელი უნდა აიღოს ყველა მოპოვებულ უფლებაზე? ეს ხომ აბსურდია, უკიდურესი სოფიზმი, სიმართლის სასაცილოდ აგდება.

სიმართლე და ჭეშმარიტება-კი ერთია ყველა ენაზე. არ არის ჭეშმარიტება გერმანული, არც ფრანგული. არის კაცობრიული სიმართლე და ჭეშმარიტება, გამოხატული ყველა ენაზე, ასე ვთქვათ, სხვა და სხვა ეროვნულ ტანისამოსით შემოსილი. როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში მთელი საუკუნოებით იძიებდნენ იმ კანონებს, რომელნიც განაგებენ ცხოვრებას, ისე პოლიტიკურ და სოციალურ დარგში კაცობრიობა განუწყვეტელის ბრძოლით იძენდა სიმართლეს და ჭეშმარიტებას და ბოლოს თანამედროვე კაცობრიობამ ჩამოაყალიბა და სცდილობს კიდეც ყველა ხალხის ცხოვრებაში განახორციელოს შემდეგი ზნეობრივი, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეკონომიური დებულებანი, მიღებულნი როგორც სოციალური ჭეშმარიტებანი:

1. ყოველ ცოცხალ ორგანიზმს, მაშასადამე, ადამიანსაც უფლება აქვს სავსებით დააკმაყოფილოს ყოველი თავისი მატერიალური, გონებრივი და ზნეობრივი მოთხოვნილება, რაიცა საზოგადოებამ უზრუნველ უნდა უყოს კაცს სრულ წლოვანებამდე; 2. სრულ წლოვან ადამიანს ყველასთან ერთად თანასწორი უფლება აქვს ისარგებლოს მიწით და შრომის ყველა იარაღით; უფლება აქვს თავის შრომის **სრულ ნაყოფზე**; შეუძლიან შევიდეს კავშირებში და თავისუფლად გამოვიდეს იქიდან; 3. თანასწორ უფლებიან მწარმოებელთა კავშირებს შეუძლიანთ ნებაყოფლობით შეერთდნენ, შეერთება შეიძლება თემობრივი, პროვინციალური (cantonale) და ეროვნული; 4. ყველაზე უფრო ხალხის, მასსის განვითარება ქონებრივად, სოციალურად და გონებრივად განხორციელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, შვეიცარიაში, ავსტრალიაში, ახალ-ზელანდიაში და კანადაში, ესე იგი იმ ქვეყნებში, სადაც ავტონომიური მმართველობაა (state). შტატებში ისეთი შეერთებული რესპუბლიკა, რომელსაც თავისი პარლამენტი აქვს და არჩეული მთავრობა ჰყავს—45-ია, შვეიცარიაში—22, ავსტრალიაში—8, კანადაში—9. ამიტომ დემოკრატია სცდილობს შემოიღოს ყველგან ავტონომიურ სახელმწიფოების ფედერატიული წყობილება. და ვხედავთ კიდეც, რომ ახლად შექმნილ რესპუბლიკებშიაც— მექსიკასა, ბრაზილიასა, არგენტინასა და სამხრეთ-აფრიკაში, სადაც ოცდა-ათი ავტონომიური სახელმწიფოა—შემოიღეს ფედერატიული წყობილება. ამ რიგად, მე-19 და მე-20 საუკუნეში (უშვეიცარიოდ) გაჩნდა ოთხმოცდა ორი ახალი დემოკრატიული ავტონომიური სახელმწიფო, ხოლო შვეიცარიანად—ასს თოთხმეტი სახელმწიფო, შეერთებული ნება-ყოფლობით ფედერაციაში. ამაზე დამყარებულმა პროგრესიულმა კაცობრიობამ პოლიტიკურ ჭეშმარიტებად სცნო თემთა, პროვინციათა და ეროვნებათა ავტონომია და მათი ნება-ყოფლობითი ფედერაცია.

ასეთია საფუძველნი, რომელიც საძირკვლად დაედო თანამედროვე პროგრესიულ კაცობრიობის სამართლიანობას. ვინც ამ საფუძველთა წინააღმდეგია, იგი რეაქციონერია, მტერია თავისუფლების, ხალხისა და პროგრესისა. ის, ვინც მტერია ავტონომიისა, უეჭველად დამმონავებელის მარჯვენა ხელი ხდება. აი, სწორედ ამიტომ ჩვენი სოციალ-დემოკრატები, რომელთაც თავიანთი თავი ავტონომიის მტრად გამოაცხადეს, ჩვენებურ ტიტულიან და წარჩინებულ ფეოდალებთან ერთად ერთ-სულ და ერთ-ხორც მოქმედებენ ჩვენის უფლებების წინააღმდეგ. ფეოდალები, ბატონ-ყმობის მოტრფიალენი და სოციალ-დემოკრატები ჩვენი ავტონომიის წინააღმდეგნი არიან, ესე იგი მათ უნდათ მოგვაკლონ ის, რაც განათლებულმა და პროგრესიულმა კაცობრიობამ უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში მიანიჭა სანდვიჩის კუნძულების ველურებს, ლიბერიის და გაიტის მონა ნეგრებს, კუბას, საბერძნეთს, სერბიას, ბოლგარიას, მოლდავია-ვალახიას, ეგვიპტეს...

მერე რა მიზეზია, რომ ფეოდალები, ბიუროკრატები და სოციალ-დემოკრატები სწორედ ჩვენ გვართმევენ ავტონომიურ უფლებებს? ყველა ზემოდ ჩამოთვლილი ხალხი და ქვეყანა ნახევრად ბარბაროსი და მონა იყო მაშინ, როდესაც ჩვენ ელჩს თავად სულხანს ფრანგულ ენაზე მოლაპარაკება ჰქონდა პოტიომკინთან, როდესაც ზაქი-ყლაპია გიორგი მეფე ხევდა ვოლტერის თხზულებებს, რომელსაც კითხულობდნენ ყმაწვილი კაცები მის სასახლეში, ტფილისს... რა მიზეზია, რომ სანდვიჩის კუნძულების მცხოვრებნი, რომელთაც შესჭამეს მოგზაური კუკი იმ დროს, როდესაც ერეკლეს მოლაპარაკება ჰქონდა ეკატერინე მეორესთან, უნდა სარგებლობდნენ კონსტიტუციონურ ავტონომიით, ჩვენ კი ყველაფერს მოკლებულნი უნდა ვიყვნეთ?!

რა არის, რა ამბავია, ნუ თუ ჩვენ კაცობრიობის ნაძირალნი ვართ?! ისტორიული უფლებაო!.. აბა სცადეთ და წინადადება მიეცით გერმანელ სოციალ-დემოკრატებს, ხელი აიღონ ბისმარკის მიერ 30 წლის წინად ნაბოძებ (და არა მოპოვებულ) უფლებაზე, რომლის ძალითაც მოხუც მუშებს პენსიის მიღება შეუძლიანთ. იცით, რა პასუხს მიიღებთ? აი რას: „ცუდია, უმნიშვნელო, არა სოციალისტური ეს უფლება, მაგრამ მაინც მთელის ჩვენის ძალ-ღონით დავიცავთ ამ უფლებას იმ დრომდე, სანამ უფრო დიდსა და უკეთეს უფლებას არ მოვიპოვებთო“.

ფრანგები, ინგლისელები, შვეიცარიელები, ამერიკელები და ჰოლანდიელებიც პირდაპირ მოგვიგებენ, რომ:

„თავის უფლებებზე ხელს იღებენ და უარსა ჰყოფენ ან იდიოტები, ან საცოდავი და მონანი, ან კიდევ გამყიდველი არსებანი“.

**ვარლამ ჩერქეზიშვილი.**

ცვლილიყო, რომ უმრავლესობა რუსები გასულიყვნენ. ახლა კორვინ-მილევსკის შეუმუშავებია გეგმა. ამ გეგმით სრული რეორგანიზაცია უნდა მოხდეს სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს პოლონურ კოლოებისა.

✦ **ბულაცელი.** როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ კიუვენეპეს სასამართლოს პროკურორს პეტერბურგის ოლქის ნაფიც ვექილთა საბჭოსთვის შეუტყობინებია, ბულაცელმა სასამართლო შეურაცხყო და ზომები მიიღეო. გაზეთების სიტყვით ბულაცელს ნაფიც-ვექილთა წოდებიდან გამორიცხვა, ან ერთი წლით მუშაობის აღკრძალვა მოელის.

✦ **დეპუტატი.** ქალაქ ვოლოგდაში შემდეგი ამბავი მომხდარა: ადგილობრივ ეკლესიის დღესასწაული ყოფილა. ამის გამო ეკლესიაში მწირველი ყოფილა ეპისკოპოსი. ამ ხანებში ვოლოგდაში ჩასულა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი დეკანოზი იაკუბოვიჩი. დეკანოზი იაკუბოვიჩი თავის ნებით მისულა ეკლესიაში და ეპისკოპოსთან ერთად უწირნია. წირვის შემდეგ იაკუბოვიჩს დაუბარებია ეკლესიის მნათე და 50 კაპეიკი მოუთხოვნია, ეტლში დამეხარჯაო. მნათეს გაჰკვირვებია დეპუტატის ასეთი საქციელი, მით უმეტეს, რომ იაკუბოვიჩი მწირველად არავის მოუწვევია. დიდი ხნის დავი-დარაბის შემდეგ მნათეს იაკუბოვიჩისთვის ათი შაური ჩაუბარებია. მნათეს და ვინმე ქრისტეფორე აფანასიევს იაკუბოვიჩზე ეპისკოპოსთან უჩივლიათ. ამ დღეებში მნათეს მიუღია ეპისკოპოსის განჩინება: „ათი შ.-ური შემოსავალ-გასავლის წიგნში ჩახწერეთ და ხელი მოაწერინეთ დეკანოზ იაკუბოვიჩსო". აფანასიევი კი დაუსჯიათ. ქალაქის და ერობის საქმეთა გამგეობას, სადაც აფანასიევი მსახურობს, აფანასიევისთვის შეუტყობინებია, თხოვნა შემოიტანე და სამსახურს თავი მიანებე, თორემ უთხოვნოთ დაგითხოვთო. ადგილობრივი მცხოვრებლები გაკვირვებულნი არიან როგორც „დეპუტატ" იაკუბოვიჩის, ისე ეპისკოპოსის და ზემოდხსენებულ გამგეობის საქციელით. იაკუბოვიჩი „ჭეშმარიტ რუს.-ა კავშირის" წევრია, „კავშირმავე" იაკუბოვიჩი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად გაიყვანა. (რეჩი.)

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ეკატერინოსლავში 5, პეტერბურგში 1, რიგაში 2, ვარშავაში 3, იურიევში 1, ტომსკში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: რეველში 1, უფაში 3, ხარკოვში 1, სამარაში 2, ოდესაში 2 კაცი.

✦ **„ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებამ" ზარალი მოუტანა ხაზინას.** ამ უკანასკნელ წლებში გამოცხადებულმა „ბეჭდვითის სიტყვის თავისუფლებამ ხაზინას კარგა დიდი ზარალი მოუტანა. საქმე იმაშია, რომ „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების" გამოცხადებისთანავე ერთი ათად იმატა გაზეთების ადმინისტრატიულის წესით დახურვამ. როგორც ფოსტატელეგრაფის მთავარ სამმართველოს ანგარიშიდან ჩანს 1908 წელს გაზეთების გაგზავნაში ფოსტას 1907 წელთან შედარებით 87,749 მანეთით ნაკლები აუღია. ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ მართველობის სიტყვით მომავალ წელს გაზეთების და ჟურნალების გასაგზავნი ფული ერთი ორად იკლებს, ასე რომ მოსალოდნელია 1910 წელს 1906 წელთან შედარებით 169,498 მანეთით ნაკლები შემოვიდეს. სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ ზარალს ცოტად თუ ბევრად ჰფარავს ჯარიმები, რომლითაც ასე მოურიდებლად სარგებლობს ადმინისტრაცია. (რეჩი).

✦ **მიტროპოლიტი ვლადიმერი.** „კასპ"-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, ხმა დადის, რომ მოსკოვის მიტროპოლიტი ვლადიმერი მიტროპოლიტობას თავს დაანებებსო. მიტროპოლიტი ვლადიმერი ერთ დროს საქართველოს ეგზარხოსად იყო.

✦ **ვოსტორგოვი და არქიმანდრიტი მაკარი.** „რეჩი"-ს სიტყვით დეკანოზ ვოსტორგოვს და არქიმანდრიტ მაკარის გადაუწყვეტიათ მოსკოვში მოახდინონ მემარჯვენეების კრება. კრებამ უნდა შეიმუშავოს პროგრამმა „ჭეშმარიტ რუსთა" ახალ „კავშირისა". ვოსტორგოვის და არქიმანდრიტ მაკარის სიტყვით ეხლანდელი „ჭეშმარიტ რუსთა კავშირი" დუბროვინის ბრბო არის. „რუსკ. ზნამია" (დუბროვინის ორგანო) ძალიან გაბრაზებულა ზემოხსენებულ პირებზე და ასე ამკობს მათ: „ხვადმა (ვოსტორგოვი და მაკარი) კატებმა ანაფორები ჩაიცვეს და მართლმადიდებელ და პატიოსან ხალხს ატყუებენ, დრო არის თვალები გავახილოთ. ნეტავ ერთი ვიცოდეთ ამ ანაფორიანმა ხვადმა კატებმა რა გააკეთეს, გვაჩვენონ ერთი საქმე, რომელიც მათ გაეკეთებინოთ და ეს საქმე პატიოსნური იყოსო". მაგრა არის ნათქვამი, მაგრამ სამართლიანად. დუბროვინის ბრბო და ვოსტორგოვმაკარი ერთი ერთმანეთს არ ჩამოუვარდებიან. (რეჩი).

# ხონის სარწყავწყლის თაობაზე

(წერილი რედაქციისადმი)

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, ზოგიერთი შეცდომა გავუსწორო თქვენს ხონელ მოამბეს, ბ. გ. ფასკუნჯს, მის მოწერილ ამბებში „დროების" № 207-ში. ჩვენი სარწყავი წყლის მონაწილეების საზოგადო კრებებზე 1891-დამ მე მუდამ თავმჯდომარეობ არა მთავრობის დანიშნულებით, როგორც თქვენ მოამბეს ჰგონია, არამედ კანონის ძალით, რომელიც ბრძანებს, რომ სზზოგადო კრებებზე უნდა თავჯდომარეობდეს ერთი და ერთი წევრი წყლის საქმეების რჩევისა, დანარჩენი წევრების არჩევითო. თანახმათ ამ კანონისა რჩევამ თავმჯდომარეთ ამომირჩია, და მთავრობას ამ საქმეში, გარდა კრების გახსნის ნებართვისა, სხვა არა ეკითხებოდა რა. მაშასადამე მე, კრებაზე, არც იმისი თქმა შემეძლო (როგორც თქვენი მოამბე გატყობინებთ), ვითომ კრებას დავხურავ და გუბერნატორს მოვახსენებო. ვთქვი მარტო: დავხურავ, და დანარჩენ საქმეებს მეორე კრებისთვის გადავდებ მეთქი. კრებაზე ყველას ჩინებულათ ესმოდა რა უნდა გადაეწყვიტათ და ვინ აერჩიათ: რაც ამ კრებაზე მოხდა და გადასწყდა, ის მთელ წარსულ ზაფხულის განმავლობაში მზადდებოდა. ივანობისთვის შუადგან დაწყებული, ჩემსა, დიდ-ჯიხაიშს, ყოველ კვირაობით დაიარებოდენ ყველა იმ სოფლების წარმომადგენლები, ვინც უწყლობით დაიტანჯა, და შემდეგ მრავალი სჯისა და ძიებისა, 29 აგვისტოს შეერთებულმა რჩევამ ამ წარმომადგენლებისა გადაწყვიტა ვინა და ვინ აერჩია ხალხს, და როგორ აერჩია. თანახმათ ამ გადაწყვეტილებისა, ხონს 14 ენკენისთვეს მოგროვდა აუარებელი ხალხი, არა ნაკლებ 4000—5000 სულისა, წარმომადგენელი 25,000 ჩვენი ვაკეს მცხოვრებისა. ამ ხალხმა დამავალა: მუშაობას ვცდებით, ნუ დაგვტანჯავ უთავბოლო დავობითო და კენჭის ყრითო: საქმე გადაგვაწყვეტინე, მჭევრ-მეტყველობისთვის არ გვცალიაო. თანახმათ კანონისა, არჩევნამდი, როგორც თქვენი მოამბეც იწერება, ხალხმა ამირჩია ასისტენტები, თითო სოფლიდამ თითო-თითო, არჩევნების და კრების წესიერების დასაცველათ. ყოველ ადამიანს უნდა ესმოდეს, რომ ამხელა კრებაზე წესის ფორმალისტიკაზე მსჯელობა მარტო ამ ასისტენტების საქმეა, და არა ყოველი დამსწრესი. ამ ხელა კრებაზე ფორმალურ კითხვებზე ბაასი ობსტრუქციაა, და არა საქმის კეთება· როგორც კი ბ. იოსებ ქუთათელაძემ და ექიმმა კიკალეიშვილმა ეჭვი გამოსთქვეს (მის შემდეგ, როცა ხალხმა თითქმის ერთხმად გადასწყვიტა არჩევა ხმით, ხელის აწევით, არა კენჭით მოხდესო, და მიხ. ლორთქიფანიძე აირჩია), კარგი იქნება ყუთები დაიდგეს და კენჭის ყრით გადასწყდეს საქმეო, მე ათჯერ მაინც საქვეყნოთ გამოვაცხადე: დასწერეთ ეს აზრი ქაღალდზე და ხელი მოაწერეთ ხუთმა ადამიანმა მაინც მეთქი, იმ წამსვე ყუთებს დავდგამ და არჩევანს კენჭით მოვახდენ მეთქი: „რა საჭიროა ქაღალდიო", მკითხეს.—იმისი მეთქი, რომ რომ როცა ეს ოთხი თუ ხუთი ათასი გლეხი ხვალ შუადღისას, კენჭის ყრის გათავების და ბ. მიხეილ ლორთქიფანიძის არჩევის მერე საყვედურს მეტყვის, რათ მოგვაცდინე და დაგვტანჯეო, შემეძლოს ვაჩვენო ვისი ჯიუტობით იძულებულ ვიქენი ეს მომეხდინა. ამის მოწმე ყველა არჩეულ ასისტენტები გახლავთ. ამისთანა განცხადება ვერავინ ვერ შემოიტანა. პროტესტანტების სურვილი და აზრები დაწვრილებით განიხილა ამ არჩეულის ასისტენტების განკერძოვებულმა კრებამ, რომელმაც **ერთხმად** გადასწყვიტა, რომ წესიერება დარღვეულ არ იყო და არჩევანი კანონიერი იყო. აი ეს გადაწყვეტილება ასისტენტებისა გამოვუცხადე ხალხს, და არა ჩემი საკუთარი აზრი, როგორც თქვენი მოამბე გაცდენსთ.

აგრეთვე სიმართლის ნაკლებია ის, რასაც ბ. ფასკუნჯი იწერება ჩემს სიტყვებზე შესახებ ინჟინრის უარ-ყოფისა. ჩემი სიტყვის დედა-აზრი მას ჩაუყლაპავს. კრებას მოვახსენე, რომ ჩვენი საქმის ნაკლულევანება ტეხნიური ხასიათის კი არაა, იურიდიული და ფინანსიურია მეთქი. წყალი გვაკლია, ამიტომ რომ რიგი ვერ დავიცევით მორწყვისა, მტაცებლობა ვერ ავლაგმეთ, ვინ რამდენ ქცევას რწყავს ვერ გავიგეთ, დროზე წყლის ფული ვერ მოვკრიბეთ, და სხვა და სხვა ამას იურისტი უნდა, და არა ინჟენერი მეთქი. ფული არა გვაქვს, როგორც მოგხსენდათ, და უფულოთ ინჟინერი აბა რას გაგვირიგებს, მეორე თვეშივე გაგვექცევა მეთქი. ამას დავსძინე ესეც: როცა ინჟენერის რჩევა, გეგმა ან დახმარება დაგვჭირდება, დასტვენის მეტი არა დაგვჭირდება რა მათ მოსაწვევათ და საშოვნელად, თუ საქმე მოწესრიგებულ გვექნა. მოგეხსენებათ, ამ არხების გეგმა 250 მანეთით შეგვიდგინა გიდრავლიკმა სოფრონსკიმ, რომელიც თფილისშია და ყარაიაზის არხებს მართავს. ბევრს თქვენგანს გახსოვსთ, თუ რა ყურადღებით მუშაობდა ის ჩვენში 1889-ში, როცა ნიველიროვკა მოვახდინეთ, და მისი გეგმით გაკეთებული არხები ამ 20 წლის განმავლობაში არ წამხდარა მეთქი. მაგისთანა ინჟენერ—გიდრავლიკი არა თუ ჩვენში, მთელ რუსეთშიაც იშვიათია მეთქი. როცა დაგვჭირდება, იმას მოვიყვანთ, იმის რჩევას ვიკითხავთ, იმის დახმარებით ვისარგებლებთ და მას შევადგენინებთ გეგმას მეთქი. ბ. ფასკუნჯს კი ამისთანა ადამიანის სახელიც კი არა სცოდნია, და წყლის საქმეებზე კი მსჯელობს!

რაღა ბევრი გავაგრძელო, ამ ფაქტიური შეცდომების გასწორებიდამაც დაინახავთ, რამდენათ საფუძვლიანია თქვენი მოამბის დანარჩენი ნაწერიც. ერთიც კიდევ უნდა მოგახსენოთ, სანამ გავათავებდე. მტკნარი ცილის წამებაა ბ. ფასკუნჯის სიტყვა, ვითომ საქმის დაბოლოვებამდი ხალხი წავიდწამოვიდაო. ათი, თუთხმეტი ვერსის სიშორიდამ მოსული ხალხი საღამოს ხუთს საათამდი არ დაძრულა, სანამ ყველა საკითხები არ გადაწყდა და ყველა არჩევნები, მირაბის, მისი თანაშემწის, ყველა ნაწილების (отдѣлы), წევრების და მათი კანდიდატების არ დაბოლოვდა და ოქმი არ დაიწერა. ისე დაუჯდომლათ, ზეზე, ულუკმაპუროთ, უსმელათ მოითმინა ამ ხელა ხალხმა, სანამ თავისი გულისწადილი არ შეისრულა და ახალი მმართველობა არ აურჩია საქმეს, და სანამ არ დაგვავალა მისი მოწესრიგება, ხალხის ფულის და შრომის დაუზოგველათ. როგორ აასრულებს ამას ახალი გამგეობა,—მომავალი გვაჩვენებს.

დავრჩები, და სხვ. **ნ. ნიკოლაძე.**

19 ენკენისთვე 1909.

# წერილი რედ. მიმართ

**(მცხეთის საქათალიკოზო ეკლესიის კრებულს)**

გთხოვთ უმორჩილესად შეგვატყობინოთ.

1. „ანტიოქის" ძველი ეკლესია თავისის მისავალ მიდამოთი გიწერიათ თუ არა (კლიროვოი) ეკლესიის საბუთებში, როგორც ძველი ნაშთი?

2. თუ არ გიწერიათ, რა მიზეზია? ხომ იყო განკარგულება, რომ მაგვარი ნაშთები უნდა მიიღოს თავისს მფარველობასა ქვეშ მახლობელ შტატის ეკლესიის კრებულმა და უნდა მოუაროს, რომ არავინ დაისაკუთროს და არ დაანგრიოს?

3. რა საბუთით, ან ვისის ნებით გადაუქცევიათ ის ძველი ეკლესია საქათმედ, ბოსლად, რომ შიგ ქათმები, ძროხები და ღორები თურმე ბინადრობენ და მის, „ანტიოქის" გარეშემო მიდამოზე კერძო პირები აშენებენ სახლებს?

4. თქვენ, როგორათაც ივერიის ეკლესიის სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურეთა, ნუ თუ ესე ვითარ უბადრუკება არ გაშფოთებთ და ყურადღებას არ აქცევთ, ან რაში გამოიხატა თქვენი მისადმი („ანტიოქსადმი") მზრუნველობა?

გთხოვთ უმორჩილესად ამაზე პასუხი გვიბოძოთ. ამასაც მოვესწარით, რომ იმ ადგილს, სადაც გუშინ და გუშინ წინ სანთელს ვანთებდით და მუხლს ვიდრეკდით, ბოსლად ჰხდიან, საქათმედ და საღორედ, როგორც დაგვარწმუნა ბატ. გიგო გაბაშვილმა. ან ვინ მისცა იქ მოსულთ სახლის აშენების ნება, ან ვინ დაუმტკიცა ის მიდამო კერძო პირთ? უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებოდნენო, სწორედ ეს არის! „ანტიოქის" ეკლესია უძველესი ნაშთია თვისის ციხე-კოშკით და მიდამო ხაროებით მცხეთაში და მიკვირს ან ქართველი მცხეთლები როგორ შესცქერიან ამ უბედურებას? **ვინმე ხუცესი.**

# განცხადებანი


**!უფრო იაფად შეუძლებელია!**

**2 მანეთად და 75 კაპეიკად.**

ვუგზავნი მსურველს შევიოტის ნაჭერს „ტრიუმფს" 4½ არშინს მამაკაცის მთელი კასტიუმისთვის. სიიაფის მიუხედავად, მატერია „ტრიუმფი" მატყლისაა (და არა ბამბისა) და საუკეთესო მატერიის თვისებებს შეიცავს; მკვიდრია, კარგი სახმარი და კოხტა. ფერები: მავი, ლურჯი, მიხაკის ფერი, მუქი. გაგზავნა 55 კ. ვინც სამ ან მეტ ნაჭერს გამოიწერს, გაგზავნა ჩემი ხარჯით. ადრესი: Фабриканту Зигмунду Розенталь, г. Лодзь. N 178. წერილი რუსულად უნდა დაიწეროს.

(Метцель и Кº N 57123) (0—6—2)

**პირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—176)

**საბურთალოზე**

ადგილების მეიდგულთა საყურადღებოდ

**ვართან ლისიციანი** აცხადებს, რომ ვინც ამა წლის 10 ოქტომბრამდე დარჩენილ ფულს არ გადაიხდის, დასახელებული ადგილები გაიყიდება, ამასთან ბედ შეტანილი ფული პატრონებს აღარ დაუბრუნდებათ. იყიდება დარჩენილი ადგილები. მსურველმა უნდა მიმართოს კერძო საუქციონო ზალაში, თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქ. (2—460—1)

**ქ. ქუთაისში**

გაიხსნა **ოთხ კლასიანი ქალთა პროგიმნაზია სახელოსნო განყოფილებით.**

პროგიმნაზიულ კლასებთან ერთად მოწაფეები შეისწავლიან: ჭრა-კერვას, მაშინაზე ჩულქების ქსოვას, კორსეტების კერვას, საუცხოო ხელსაქმეს, ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვას. პროგიმნაზიას აქვს აგრეთვე ცალკე განყოფილება მოზდილ და გათხოვილ ქალთათვის, რომელნიც შეისწავლიან ზემოხსენებულ ხელობებს. დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება თითონ პროგიმნაზიაში—კაზაკოვის ქ., სახლი № 17. (4—კვ.—4)

**თეატრი „ილუზიონი"**

ს. ო. ივანიცკისა

**მიხეილის პროსპექტი, ხ. ვეტცელისა.**

რადგან სინემატოგრაფიულ ლენტების ქირაობის დროს თითონ მე არა ერთხელ მღმატყუეს სხვა და სხვა ფირმებმა, განსაკუთრებით როსტოვლმა ფირმებმა, ამიტომ საზღვარ-გარედ ყოფნის დროს ხელშეკრულება დაუდე ფრანგულ საზოგადოებას

**ლენტების გასაქირავებელ კანტორის**

დასაარსებლად იმ აზრით, რომ ღარიბ პროვინციელ პროექტორებს, რომელნიც დიდ ფულს იხდიან ლენტების ქირაობის დროს, შეძლება მიეცეთ მიიღონ სურათები **სულ მცირე ფასებში.** ქირის პირობები ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებული, ეხლა კი, კანტორის გახსნამდე, ცნობების გაგება შეიძლება პირადად ჩემთან. (5—1019—2)

ვაჭრობისა და მრეწვ. სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუხჰალტრო კურსები**

**ნ. ვ. აბრაამიანისა.**

ტფილისი, ნიკოლოზის ქ., 22, საკ. სახლი, ტელეფონი N 744.

კურსები „ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს" ავტორისაა. ეს სახელ. მოწონ. საკომერც. სასწავლებლისთვის ფინან. სამინისტროსაგან.

კურსები ორივე სქესისთვისაა. სწავლის ვადა 4 თვე. ასწავლიან **უცხო** ენებს და სტენოგრაფიას. სწავლა დაიწყება 15 სექტ. 1909 წ. და იქნება ყოველ დღე. პროგრამები და წესები უსასყიდლოდ იგზავნება. მიღება ყოველ დღე 15 აგვისტოდან.

კურსებთან სუსტად მომზადებულთათვის არსებობს მოსამზ. კურსები. ვინც ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს გაიწერს ავტორისაგან, გასაგზავნ ფასს არ გადაიხდის. წიგნი ღირს 3 მ. 50 კ. (0—ხალ.—17)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი

**საკომერციო ცოდნათა კურსები**

**ტ. მ. ფილოიანისა.**

ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, № 24/4.

ასწავლიან სპეციალურ საკომერციო საგნებს როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. კურსის დამთავრების შემდეგ ეძლევათ ატესტატები. ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) ბუჰჰალტერიას მარტივს, იტალიანურს, გერმანულს, ამერიკულს, ბანკისა და ფაბრიკა-ქარხნისა; 2) კომერციულ ანგარიშს; 3) პოლიტიკურ ეკონომიას; 4) კანონების ცოდნას (სავაჭრო კანონებს, ვექსილების წესდებას; 5) კომერციულ მიწერ-მოწერას; 6) ანგარიშს «სჩოტებზე»; 7) კარგად წერას, სწრაფ წერას (ცუდი ხელის გასწორება); 8) სტენოგრაფიასა და 9) დაქტილოგრაფიას.

**სწავლის ფასი 60 მანეთია წელიწადში.**

**უცხო ენები.** საგნებს ასწავლიან დასავლეთ-ევროპის საკომერციო აკადემიების პროგრამით. კურსების ლექტორებად გამოცდილი სპეციალისტები და უმაღლეს სწავლა ძიებულნი არიან. სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვეს. თხოვნები მიიღება 1 სექტემბრიდან დილის 10—12 ს. და 4—7 საათამდის. პროგრამები და წესდება უფასოდ ეგზავნება და ეძლევა ყველას კურსების ბინაზე.

კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.**

(20—ხალ.—15)

**1 მანეთიდან** ფულის გადახდა ნაწილ ნაწილათ **1 მანეთიდან**

**ხელის მაშინები 25 მანეთიდან**

**იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.**

ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე სასახლის პირდაპირ; 2 ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (20—გაე.—1)

**პროვოდნიკის**

1897 წ. 1888

1908 წ.

**ამხანაგობა**

**რ ი გ ა შ ი**

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**იყიდება ნარდად და ცალობით:**

დარეზინებული წყალ გაუვალი **ზედა ტანისამოსი**

სულ ახალ საზღვარ-გარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა. ხოლო იაფ ფასამდის.

დარეზინებული **წამოსასხმები და პალტოები** ბ-ნთ აფიცერთათვის;

დარეზინებული **მატერია** სხვა და სხვა მიზნისთვის;

**რეზინის ლრუბელი;**

**სავარცხლები** რქის რეზინისაგან;

**ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი"-სა**


სტამბ. „სინათლე" რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.